პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

6 ოქტომბერი შაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი კამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 234 (15751)



ბუშინ, თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე ჩვენი რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემა გადაიქცა პარტიისა და ხალხის ერთიანობის, საბჭოთა ადამიანების მაღალი პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის მკაფიო დემონსტრაციად!

ძმობის დროშით

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისადმი



თბილისი. 1973 წ. 5 ოქტომბერი. სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ა. პ. კირილენკო ხალხთა მეგობრობის ორდენს ამაგრებს საქართველოს სს რესპუბლიკის დროშაზე.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

სახე იცვალა ხალხთა ლენინური მეგობრობით გამთბარმა საბჭოთა საქართველომ, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის კიბეზე მდგომი რეპუბლიკის დღევანდელი სახეა მადნეულის მადანი, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ელექტროენერგია, ახალი მარკის თბილისური ელმავლები და გამოსათვლელი მანქანები, ქუთაისური ავტომობილები და ტრაქტორები, თვითმფრინავები და წყალქვეშაფრთიანი გემები, რუსთავის ქიმიური კომბინატისა და მეტალურგიული ქარხნის დამატებითი სიმძლავრეები...

9 თვეში რესპუბლიკის მრეწველობამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 110 მილიონი მანეთის პროდუქცია, გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონეს 6 პროცენტით გადააჭარბა!

ახალი წარმატებებით ახარებენ სამშობლოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები. საქართველოს მეჩაიეებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს — მოკრიფეს 285 ათასი ტონა ჩაი, ესე იგი ამდენი, რამდენიც დაგეგმილია ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის. წელა მიღებულია აგრეთვე საქართველოსათვის რეკორდული მარცვლეულის მოსავალი.

უმაგალითოდ აყვავდა საქართველოს სოციალისტური კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, რომლებიც ამდიდრებენ ხალხის სულიერ ცხოვრებას.

წლევანდელი წელი გამოირჩევა მასშტაბის განსაკუთრებით, მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით. უპასუხებენ რა პარტიის მამობრივ ზრუნვას, რომლის მკაფიო გამოვლინება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, საქართველოს მშრომელები მთელ ძალებს ახმარენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის გაძლიერებას, მეცხრე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების უთუო შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებას.

მშრომელები სახავენ და იღებენ 1974 წლის დაძაბულ შემხვედრ გეგმებს. ქართველ ხალხს, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, შემოქმედებით ენერგიას მატებენ კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარეული საგარეო პოლიტიკის თვალსაჩინო მიღწევები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის პირადი წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში.

ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში საქართველოს სს რესპუბლიკის წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძმამე ხალხების, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერითა და დახმარებით, ეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო დადასტურებაა. სოციალისტური ერების აყვავება და მათი ძმური მეგობრობა საბჭოთა ყველა ხალხის მძლავრი ძალის წყაროა, შემდგომი აყვავების საწინდარია.

...საზეიმო განწყობილებაა რესპუბლიკის დედაქალაქში. ქუჩები და მოედნები მორთულია ლამაზი ტრანსპარანტებით, პლაკატებით, რომლებიც ადიდებენ ლენინურ პარტიას, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას.

საქართველოს ფილარმონიის დარბაზის შენობის ფასადს ამშვენებს ხალხთა მეგობრობის ორდენის მაკეტი. ფრიალებენ თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. დიდ ტიღლოზე გამოხატულია ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს შემქმნელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძვირფასი სახე, ვის სახელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვება. ალისფერ ტიღლოზე წარწერილია ლოზუნგი: „გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას!“,

5 ოქტომბერს აქ გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას.

საზეიმოდ არის მორთული ფილარმონიის დიდი დარბაზი. სცენის სიღრმეში, საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის ფონზე, მოსჩანს ყვავილებით შემკული ვ. ი. ლენინის ბიუსტი. ოქროსფრად ციმციმებენ საბჭოთა კავშირის ორდენები, რომლებთაც სამშობლომ აღნიშნა რესპუბლიკის წარმატებანი.

დარბაზში შეიკრიბნენ მანქანათმშენებლები და მეტალურგები, ქიმიკოსები და ფეიქრები, მშენებლები და კვების მრეწველობის მუშაკები, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები, თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები — ქართველი ხალხის მშვენება და სიამაყე. აქ არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების მეომრები.

გაისმის მქუხარე ტაში. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. პ. კირილენკო**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ხ. ძოწენიძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები **ბ. გ. გიგბერია, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, პ. ვ. მელნიკოვი, ზ. ა. პატარაიძე, ვ. მ. სირაძე, ა. ნ. ჩურკინი, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები **დ. მ. სეკრეტევი, ვ. ვ. ვასილევი**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. კ. შარტავა**.

მათთან ერთად არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მეცხრე ხუთწლედის გმირები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

საზეიმო სხდომას ხსნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ხ. ძოწენიძე**.

(დასასრული მე-5 გვერდზე).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ჩვენ, მონაწილენი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომისა, რომელიც ეძღვნება რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას, საბჭოთა საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელთა სახელით მგზნებარედ, გულითადად მივესალმებით ჩვენი პარტიის ნაცად და მებრძოლ შტაბს — სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას.

გამოვთქვამთ ჩვენ რა გულწრფელ მადლობასა და მადლიერებას ხალხთა მეგობრობის ორდენით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაჯილდოების გამო, ამ ჯილდოს აღვიქვამთ იმ წვლილის მაღალ შეფასებად, რომელიც საქართველოს მშრომელებმა შეიტანეს მეგობრობისა და ძმობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, დიდი და მძლავრი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნისა და განმტკიცების წმიდათა წმიდა საქმეში, ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელი ძნის ქვეშ, მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით — ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, რომელიც შედუღაბებულია მტკიცე მეგობრობითა და ძმობით, ამოცანებისა და მიზნების ერთიანობით. საბჭოთა საქართველო მოძმე ხალხების და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის დახმარებით გადაიქცა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთერთ მაღალგანვითარებულ რესპუბლიკად.

გვინდა გულითადი მადლობა გადავუხადოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს იმ საკითხებისადმი მშობლიური ზრუნვისა და უურადღებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასთან.

ამ ზრუნვის მკაფიო გამოვლინება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომელიც თავისებური შუქურა გახდა ჩვენი რესპუბლიკის ყველა კომუნისტისათვის, ყველა მშრომელისათვის სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მეცხრე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების უთუოდ შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის 9 თვის დავალებანი. ჩაბნენ რა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკები პირნათლად ასრულებენ საგეგმო დავალებებსა და ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს. მინდვრებისა და პლანტაციების მშრომელნი დაძაბულ ბრძოლას ეწევიან იმისათვის, რათა სამშობლოს მისცენ მეტი ჩაი, ყურძენი, ხილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია.

კანონიერი სიამაყის გრძნობით ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ჩვენს ძალებს, ჩვენს შემოქმედებითს ენერგიას ამრავლებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის თვალსაჩინო მიღწევები. საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტების პოლიტიკურ და პრაქტიკულ შედეგებს.

ქართველმა ხალხმა უდიდესი კმაყოფილებით აღიქვა ცნობა იმის შესახებ, რომ ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია, და მთლიანად და სავსებით ეთანხმება იმ მაღალ შეფასებას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მისცა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა ყირიმის შეხვედრის შედეგებს.

ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით აღვუთქვამთ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას, რომ თავდადებით ვიშრომეთ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ძალღონესა და ენერგიას არ დავიშურებთ ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, რათა ღირსეული წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებაში.

გაუმარჯოს დიადი საბჭოთის ხალხთა ლენინურ მეგობრობასა და ძმობას!

დიდება მშობლიურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

მხურვალედ ულოცავენ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. **ბრეჟნევმა** და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა **ნ. ვ. პოდგორნიმ** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **ვილი შტოფს** გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მაღალ პოსტზე არჩევა. ეს არჩევა, ნათქვამია დეპეშაში, მოწმობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელების დიდ ნდობას, სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს განმტკიცებაში ამხანაგ ვ. შტოფის დიდი დამსახურების აღიარებას.

გამოვთქვამთ რწმენას, ნათქვამია შემდეგ, რომ ჩვენი ქვეყნების ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი ნაყოფიერი თანამშრომლობა კელავაც განვითარდება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ, სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცების ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის. (საკდესი).

გეორგეინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი

5 ოქტომბერს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე გვირგვინებით შეამკეს რევოლუციის დიდი ბელადის ძეგლი ამხანაგებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ა. პ. კირილენკომ**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ხ. ძოწენიძემ**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. დ. ჯავახიშვილმა**, **ზ. ა. ბატარაძემ**, **ბ. გ. გიგბერიამ**, **პ. გ. გილაშვილმა**, **ა. ნ. ინაურმა**, **შ. დ. კიკნაძემ**, **პ. ვ. მელნიკოვმა**, **ზ. ა. პატარაძემ**, **ვ. მ. სირაძემ**, **ა. ნ. ჩურკინმა**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებმა ამხანაგებმა **ო. ე. ჩერქეზიანმ**, **თ. ი. მოსაშვილმა**, **შ. ვ. ყარყარაშვილმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის **ვ. მ. სირაძემ**, **ა. ნ. ჩურკინმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **მ. მ. ლელაშვილმა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა **ვ. ი. ვადაბკორიამ**, **ზ. ბ. გელდიაშვილმა**, **ა. მ. ლაბახუამ**.

გვირგვინებზეა წითელი ლენტები, რომლებზეც წარწერილია: „დიდ ლენინს სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან“, „დიდ ლენინს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან“. (საქინფორმი).

ამხანაგი ა. პ. კირილენკო თბილისიდან გაემგზავრა

5 ოქტომბერს საღამოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ა. პ. კირილენკო** თბილისიდან გაემგზავრა.

თბილისის აეროპორტში ამხ. ა. პ. კირილენკო გაიცილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **გ. ხ. ძოწენიძემ**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილმა**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა ამხანაგებმა **ბ. გ. გიგბერიამ**, **პ. გ. გილაშვილმა**, **ა. ნ. ინაურმა**, **შ. დ. კიკნაძემ**, **პ. ვ. მელნიკოვმა**, **ზ. ა. პატარაძემ**, **ვ. მ. სირაძემ**, **ა. ნ. ჩურკინმა**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებმა ამხანაგებმა **ო. ე. ჩერქეზიანმ**, **თ. ი. მოსაშვილმა**, **შ. ვ. ყარყარაშვილმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა ამხანაგებმა **დ. მ. სეკრეტევმა**, **ვ. ვ. ვასილევმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **მ. მ. ლელაშვილმა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ამხანაგებმა **ვ. ი. ვადაბკორიამ**, **ზ. ბ. გელდიაშვილმა**, **ა. მ. ლაბახუამ**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსმა — სამხედრო საბჭოს წევრმა ამხ. **ა. გ. შელეპინმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა, საქართველოს სსრ მინისტრებმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებმა. (საქინფორმი).

საქართველოს სს რესპუბლიკამ შეასრულა სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სსრ მეჩაიეებმა, რომლებიც ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, კარგი მოსავალი მოიწიეს და ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

მიმღებ პუნქტებში შემოვიდა 285 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სახალხო-სამეურნეო გეგმას. ასე ბევრი ჩაის ფოთოლი რესპუბლიკაში პირველად არის დამზადებული.

ჩაის ფოთლის კრეფა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გრძელდება.

ამხანაგ ა. ჰ. კირილენკოს სიტყვა

პატივცემულო ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებო!

პატივცემულო ამხანაგებო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი საზეიმო სხდომის მონაწილეებო!

მე დიდი კმაყოფილებით შევხვდი საპატიო დავალებას — ვწვეოდი თქვენს მშვენიერ დედაქალაქს და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისთვის გადმომეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი — ორდენი, რომლითაც იგი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის შექმნასა და დამკვიდრებაში, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებაში საქართველოს მშრომელთა დამსახურებისათვის. კომუნისტური მშენებლობის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელთ ეს შესანიშნავი ჯილდო. **(ხანგრძლივი ტაში).**

თბილისში რომ მოვდიოდი, მივიღე კიდევ ერთი დავალება, რომელსაც სიხარულით ვასრულებ. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მთხოვა თქვენთვის გადმომეცა მისი პირადი მოლოცვა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით და მესურვებინა საქართველოს კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის ახალი დიდი წარმატებანი ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში, და ბედნიერება პირად ცხოვრებაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

თქვენთან ერთად ყველა საბჭოთა ადამიანს გულწრფელად გაახარებს, რომ თქვენი სახელოვანი რესპუბლიკის დროშაზე დღეიდან ორი ლენინის ორდენისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გვერდით აკიაფდება ხალხთა მეგობრობის ორდენი. **(ტაში).**

ამხანაგებო! ხალხთა მეგობრობის ორდენი, რომელსაც დღეს რესპუბლიკას გადავცემთ, აღსავსეა განსაკუთრებული შინაარსით. როგორც იცით, იგი დაწესდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით და იმ უდიდესი როლის აღიარების ნიშნად, რომელსაც ასრულებს საბჭოთა ხალხების მეგობრობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. ეს ორდენი ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნამდვილი გამარჯვების სიმბოლოა! **(ტაში).**

ჩვენი სამშობლოს გრანდიოზული მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, ადამიანთა სულიერი ზრდის საქმეში იმის შედეგია, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია ცხოვრობენ, შრომობენ და აშენებენ, როგორც ძმები, როგორც ერთიანი სოციალისტური ინტერნაციონალური ოჯახი, როგორც ერთიანი საბჭოთა ხალხი. და თვითეული ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად ამაყობს, რომ მონაწილეობს დიად შემოქმედებითს შრომაში — კომუნიზმის მშენებლობაში.

მილიონობით წელია ამაყად დგას ჭაღარა კავკასიონი. რა ქარიშხალს არ გადაუვლია მის თავზე! მას უნახავს ბევრი სისხლისმღვრელი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, უნახავს ხალხის ჭირი და ლხინი. მაგრამ მის ფერდობებზე და ხეობებში ჯერ არასოდეს არ აყვავებულა ასე სრულად ხალხთა შემოქმედებითი გენია, როგორც ჩვენს საბჭოთა დროში. ჯერ არასოდეს ადამიანის სახელი და ღირსება, ნიჭი და ოსტატობა არ ყოფილა ისე დაფასებული, როგორც ჩვენს დროში.

ლექსებსა და სიმღერებში ხოტბა აქვს შეხსმული კავკასიის მთების სილამაზეს. მაგრამ ჩვენ აქ აღტაცებაში მოვყავართ არა მარტო ბუნების სიდიადესა და სიმდიდრეს, არამედ უწინარეს ყოვლისა, იმის წარუვალ სილამაზეს, რაც აქ მცხოვრები მუშა კაცის მარჯვენამ შექმნა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში არნახულად შეიცვალა. თვით მშრომელი. ახალი ადამიანის — შემოქმედისა და აღმშენებლის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ადამიანის ჩამოყალიბება, სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ურღვევი ერთიანობა — ეს არის საბჭოთა წყობილების, ჩვენი პარტიის ბრძნული პოლიტიკის შესანიშნავი მიღწევები.

საბჭოთა ისტორიაში ბევრი ნათელი ფურცელია, რომლებიც ასახავენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა მოწინავე წარმომადგენლების მეგობრობას. რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ხალხების საუკეთესო შვილები ყოველთვის სიყვარულით ეკიდებოდნენ საქართველოს. მის შესახებ გულთბილად და შთაგონებით წერდნენ ა. ს. პუშკინი და ტ. გ. შევჩენკო, ვ. ვ. მაიაკოვსკი და ა. მ. გორკი, ო. თუმანიანი, მ. ახუნდოვი და ბევრი სხვა მწერალი და პოეტი. სწორედ ასევე საქართველოს საუკეთესო შვილები ყოველთვის ესწრაფოდნენ სხვა ხალხებთან ერთიანობასა და მეგობრობას. ისინი სწავლისათვის მიდიოდნენ მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ოდესასა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში, ურთიერთობას ამყარებდნენ მოწინავე საზოგადოებრივ წრეებთან და, სამშობლოში დაბრუნებისას, პროპაგანდას უწევდნენ დემოკრატიულ, რევოლუციურ შეხედულებებს.

ხალხთა მეგობრობის დამყარებასა და განმტკიცებაში დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს მუშათა კლასს. მისი წრიდან გამოვიდა ჩვენი პარტიის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ აღზრდილ და გამოწრთობილ თვალსაჩინო რევოლუციონერთა კოჰორტა. მათ შორის ალიოშა ჯაფარიძე, ლადო კეცხოველი, ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე, იოსებ სტალინი, ალექსანდრე წულუკიძე, მიხა ცხაკაია. საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცებისათვის, ამიერკავკასიაში მცხოვრებ ხალხთა შეკავშირებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში მათთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ მიხეილ ივანეს-ძე კალინინი, სერგი მირონის-ძე კიროვი, ვიქტორ კურნატოვსკი, სტეფანე შაუმიანი, სურენ სპანდარიანი, კამო (ტერ-პეტროსიანი) და ჩვენი პარტიის ბევრი სხვა თვალსაჩინო მოღვაწე. **(ტაში).**

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ახალი ფურცელი ჩაწერა ჩვენი ქვეყნის ერთა ურთიერთობის ისტორიაში, პირველად შექმნა მსოფლიო ისტორიაში რეალური შესაძლებლობანი კლასობრივ, პროლეტარულ საფუძველზე ეროვნული საკითხის ყოველმხრივ გადაჭრისათვის.

მოვლენა, რომელმაც ბევრად განსაზღვრა სოციალიზმის მშენებლობის წარმატება, იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა. საქართველოს, მთელი ამიერკავკასიის მშრომელებს კანონიერად შეუძლიათ იამაყონ, რომ ისინი იყვნენ ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული აქტის ერთ-ერთი ინიციატორები. **(ტაში).**

საბჭოთა ხალხების ერთიანობა იზრდებოდა და მტკიცდებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენის, რეკონსტრუქციისა და პირველი ხუთწლედების წლებში ერთობლივ შრომასა და ბრძოლაში. მან ღირსეულად გაუძღო მკაცრ გამოცდას დიდ სამამულო ომში. ჩვენ ფაშიზმთან სასტიკ ორთაბრძოლას გავუძელით და გავიმარჯვეთ იმის მეოხებით, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი, რა ეროვნებისაც უნდა ყოფილიყო იგი, მხარდამხარ, ღვიძლი ძმებივით, მამაცურად იკაოდნენ თავიანთ საერთო სოციალისტურ სამშობლოს. **(ტაში).**

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ხალხმა, რომელიც ზედიზედ წარმატებით ასრულებდა ხუთწლედებს, აშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება და თანთანდ მიაბიჯებს კომუნიზმის გზით. და ამ წინსვლაში უდიდეს როლს ასრულებდა და კვლავაც ასრულებს დროით ნაკადი ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა — მათი ინტერნაციონალური ერთიანობა.

ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძალა და ცხოველმყოფელობა ჩანს საქართველოს სს რესპუბლიკის მაგალითით, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ ბევრი ეროვნების მშრომელები — ქართველები, აფხაზები, ოსები, სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, ბელორუსები და სხვები.

საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც ეყრდნობოდნენ ყველა ჩვენი ხალხის, და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის ძმურ დახმარებას, ისტორიულად მოკლე ვადაში შექმნეს მძლავრი თანამედროვე ინდუსტრია, ძირეულად გარდაქმნეს სოფლის მეურნეობა, უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მეცნიერებისა და სოციალისტური კულტურის განვითარებაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ აშენდა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი ათასზე მეტი საწარმო. მათ შორის დიდი მეტალურგიული და ქიმიური ქარხნები ქალაქ რუსთავში, მარგანეცის მადნის მოპოვების საწარმოთა კომპლექსი; ქუთაისის საავტომობილო, ბათუმის ნავთობგადამუშავებელი, თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნები, გორის ბამბეულის კომბინატი და სხვ., ახლა რესპუბლიკაში ოთხ დღეში იმდენივე სამრეწველო პროდუქცია იქმნება, რამდენსაც რევოლუციამდე მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ.

დღეს საქართველო უშვებს სამაგისტრალო ელმავლებსა და თვითმფრინავებს, სატვირთო ავტომობილებსა და წყალქვეშაფრთიან საზღვაო გემებს, ლითონსაჭრელ ჩარხებსა და კომბაინებს, მინერალურ სასუქებსა და ქიმიურ ბოჭკოებს, ელექტრონულ-გამოსათვლელ მანქანებს, ზუსტ ხელსაწყოებსა და ათობით რთულ სამრეწველო ნაკეთობას. ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში განთქმულია ქართული ხილი და ჩაი, ღვინო და თამბაქო.

საქართველოს სოციალისტური სახალხო მეურნეობა. როგორც ხედავთ, ეს არის ყველაზე თანამედროვე დარგების კომპლექსი, მას დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთო საკავშირო ეკონომიკაში.

თქვენს რესპუბლიკაში ჩემი ხანმოკლე ყოფნის დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პატივცემულმა ედუარდ ამბროსის-ძე შევარდნაძემ მთხოვა გავცნობოდი ზოგიერთ თქვენს საწარმოს. თქვენს შესანიშნავ დედაქალაქს — თბილისს, ქალაქ რუსთავს.

ამხანაგებთან გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძესთან, გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილთან, ალბერტ ნიკიტას-ძე ჩურკინთან, პავლე გიორგის-ძე გილაშვილთან და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ვეწვივეთ რუსთავის მეტალურგიულ და ქიმიურ ქარხნებს, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას.

საწარმოების, გამოფენის დათვალიერებამ, ქალაქების გაცნობამ საშუალება მომცეს თვალხათლივ დავრწმუნებულიყავი, თუ რა დიდი მუშაობა წარმოებს რესპუბლიკაში მრეწველობის, მეცნიერების, კულტურის განვითარებისათვის, ქალაქების კეთილმოწყობისათვის.

ქარხნებსა და უნივერსიტეტში შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი და გავსაუბრებოდი ბევრ მუშას, ინჟინერს, მეცნიერს.

ისინი კარგ, საბრძოლო განწყობილებაზე არიან, მუშები და ინჟინრები ენერგიულად იბრძვიან საგეგმო დავალებათა, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მეცნიერნი დიდი უყურადღებით ეკიდებიან თავიანთ პედაგოგიურ საქმიანობას, ეწევიან სერიოზულ მეცნიერულ კვლევას.

მტკიცედ დავრწმუნდი, რომ თქვენს რესპუბლიკაში შესანიშნავი კადრებია. ასეთ მუშაკებთან ერთად შეიძლება ბევრი რამ გააკეთო, ჩაიდინო სახელოვანი, დიადი საქმენი. **(ტაში).**

ამხანაგებო! კომუნისტური მშენებლობის დიდებული პანორამა იქმნება მთელი ჩვენი

ქვეყნის მშრომელთა საერთო ერთსულოვანი მუშაობით. მათი ერთობლივი ღონისძიებანი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება და ახალი ადამიანის აღზრდა სულ უფრო მჭიდროდ აახლოებს ერთმანეთთან ჩვენს ხალხებს. ეს არის საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ობიექტური კანონზომიერება.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სიმტკიცესა და უძლეველობას განაპირობებს თვით ბუნება სოციალიზმისა. ამ მეგობრობის ეკონომიური საფუძველია სოციალისტური საკუთრება. მისი პოლიტიკური საფუძველია მშრომელთა ძალაუფლება, სოციალური და ეროვნული თანასწორუფლებიანობა. მისი იდეოლოგიური საფუძველია მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ერთობის და მეგობრობის განმტკიცებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი საქმიანობა. პარტია, რომელიც განუხრელად ასრულებს ლენინის ანდერძს, თვალსაჩინოვით უფრთხილდება და განამტკიცებს ამ მეგობრობას — სოციალიზმის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს.

რა თქმა უნდა, ერთაშორისი ურთიერთობა ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ ვითარდება. ეს ცოცხალი, დიალექტიკური პროცესია. პარტია ეწევა გულმოდგინე მუშაობას სსრ კავშირის განმტკიცებისათვის. ჩვენი ქვეყნის ყველა ერის ყოველმხრივი აყვავებისა და თანდათანობით დაახლოების უზრუნველყოფისათვის. როგორც ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა თქვა სკკპ XXIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, „პარტია კვლავაც აღზრდის ყველა მშრომელს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ყოველგვარი ფორმის ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, ეროვნული შეზღუდულობისა და ყოყოჩობის, გამოვლინებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ყველა ერისა და ეროვნების ღრმა პატივისცემის სულისკვეთებით“.

პარტიის ამ ხაზის თანმიმდევრული განხორციელება ნაყოფიერ გავლენას ახდენს კომუნიზმის მშენებელი ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის მონოლითური ერთიანობის შემდგომ განმტკიცებაზე.

ამხანაგებო! საერთო საქმისადმი ერთგულებას, ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულებას ჩვენი ქვეყნის ხალხები ახლა ამტკიცებენ უწინარეს ყოვლისა პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობით.

ხუთწლედის დამდეგიდან ორწელიწად-ნახევარზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ქვეყნის მრეწველობამ გამოიმუშავა ტრილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ეს, ამხანაგებო, ერთ-ნახევარჯერ მეტია, ვიდრე გასული, მერვე ხუთწლედის შესაბამის პერიოდში, მწყობრში ჩადგა 900-ზე მეტი ახალი მსხვილი საწარმო, ამოქმედდა 200 მილიარდი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც, სხვათა შორის, აღემატება ომამდელ 1940 წელს ქვეყნის მთელ ძირითად ფონდებს. ეს ციფრები. რომლებიც მჭევრმეტყველურად მოწმობენ ჩვენს დიდ წარმატებებს, იწვევენ კანონიერ სიამაყეს ჩვენი მშობლიური საბჭოთა სოციალისტური სამშობლოსათვის! **(ტაში).**

პარტია მიზანდასახულად წყვეტს სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციის ამოცანებს მისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გაძლიერების, წარმოების მექანიზაციის, ელექტრიფიკაციის, მელიორაციისა და ქიმიზაციის განვითარების, მიწათმოქმედებისა და მიცხოველეობის კულტურის ამაღლების გზით. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა ბევრად გაგვადიდებინა მარცვლეულისა და სხვა კულტურების მოსავლიანობა, აგვემაღლებინა პირუტყვის პროდუქტიულობა, გაგვეზარდა სურსათ-სანოვაგისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რესურსები. ჩვენი ეკონომიკის ზრდას საფუძვლად უდევს სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა განუწყვეტელი დანერგვა.

თქვენ იცით, რა დიდ ყურადღებას უთმობს პარტია მეცნიერების განვითარებას, მეცნიერული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. იგი ყველა საჭირო პირობას უქმნის მათ ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

საბჭოთა მეცნიერები, კონსტრუქტორები, ტექნოლოგები, სელექციონერები ფართო ფრონტით ეწევიან სამუშაოებს ახალ, პროგრესულ სახეობათა მანქანების, ხელსაწყოების, შასალების, უხვმოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დიდად პროდუქტიული ჯიშის პირუტყვის შესაქმნელად.

ქარხნებსა და ფაბრიკებში მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე წარმოებაში დაინერგა ათი ათასზე მეტი უფრო სრულყოფილ სახეობათა ნაწარმი და ტექნოლოგიური პროცესები.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს გარდაქმნათ სახალხო მეურნეობა ახალ ტექნიკურ საფუძველზე, დავაჩქაროთ შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის მოცულობათა ზრდა, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი.

საბჭოთა ეკონომიკის წინსვლითმა განვითარებამ, სახელმწიფოს მზარდმა დაგროვებამ საშუალება მოგვცა სერიოზულად წავწეულიყავით წინ ხუთწლედის მთავარი ამოცანის რეალიზაციაში. ქვეყანაში თანმიმდევრულად ხორციელდება ყრილობის მიერ დასახული სოციალურ ღონისძიებათა ვრცელი პროგრამა. ამ ხნის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მოხმარების საერთო ფონდი. ბევრ მშრომელს მოემატა ხელფასი, გაიზარდა პენსიებისა და სტიპენდიების მინიმალური ოდენობა, მნიშვნელოვნად უფრო სრულად კმაყოფილდება მოთხოვნა სახალხო მოხმარების საქონელზე.

ყოველივეს, რაც ყრილობამ დასახა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში, პარტია კვლავაც განუხრელად განახორციელებს. მაგრამ, ცნობილია, რომ შეიძლება გაანაწილო და მოიხმარო მხოლოდ ის, რაც წარმოებულია. როგორც თქვენში ამბობენ, კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების. ამიტომ საჭიროა ვიმუშაოთ ისე, რომ საზოგადოებრივი კოკა განუწყვეტლივ ივსებოდეს. თვითეული ჩვენგანის ვალია დაუცხრომლად ვზრუნავდეთ სამშობლოს მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გამრავლებისათვის, ვზრდიდეთ პირად წვლილს ჩვენს საერთო საქმეში.

ამასთან დაკავშირებით სასიხარულოა აღინიშნოს, რომ მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია თავისი მოვალეობის სრული გაგებით გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას, რომ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი გადააქციონ დამკვრელური შრომის წლად. ქარხნებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმი ფართოდ და შემოქმედებითად გაჩაღდა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება დადგენილ დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ბევრ საწარმოში წამოაყენეს და ახორციელებენ შემხვედრ გეგმებს, რომლებიც ითვალისწინებენ შინაგანი რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას.

დიდ ეფექტს იძლევა საწარმოო კოლექტივებში ფართოდ გაშლილი მოძრაობა მომიჯნაე პროფესიათა დაუფლებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, თვითეულ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების ზადიდების პირადი კომპლექსური გეგმების შესრულებისათვის, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკების ინდივიდუალური შემოქმედებითი გეგმების შესრულებისათვის.

კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ კარგი შედეგები მოაქვს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებას, მუშების, კოლმეურნეების, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერების შთაგონებულ შრომას. წარმატებით სრულდება ძირითადი დავალებანი, რომლებიც განსაზღვრულია მიმდინარე წლისათვის, აგრეთვე ნაკისრი ვალდებულებანი. გადაჭარბებით შესრულებულია სამრეწველო პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმები.

ჩვენმა მრეწველობამ წლის დამდეგიდან კარგი ტემპები აიღო და ახლა მათ თვიდან თვემდე ზრდის. თუ მთლიანად წლის მანძილზე დასახული იყო სამრეწველო წარმოების მოცულობის გადიდება 5.8 პროცენტით, ფაქტიურად ცხრა თვეში იგი 7.3 პროცენტით გაიზარდა. ამასთან შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების ოთხ მეხუთედზე მეტი. კარგი შედეგები აქვთ მშენებლებსაც, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს საიჯარო სამუშაოთა საერთო მოცულობის გეგმა.

წელს მეტად გვახარებს საქმეები სოფლის მეურნეობაშიც. ქვეყანაში მოყვანილია კარგი მოსავალი. თუმცა ჯერ კიდევ ადრეა შევჯამოთ საბოლოო შედეგები, მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი გასული წლების მოსავალს გადააჭარბებს. მოველით აგრეთვე ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, მზესუმზირას უხვ მოსავალს. ამას მოწმობს რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ბელორუსიის, მოლდავეთის, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიერ ნაკისრი ცნობილი მაღალი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა.

შარშანდელზე უკეთ არის საქმე მეცხოველეობაშიც. გასულ თვეებში გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების საგეგმო დავალებანი. გაიზარდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა, მომარაგებულია მეტი საკვები. ეს კარგ პერსპექტივებს უქმნის ყველაზე ძვირფასი პროდუქტების წარმოების შემდგომ ზრდას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ჩვენი გეგმების შესრულებას.

მოპოვებული წარმატებანი, რა თქმა უნდა, გვახარებენ და აღაფრთოვანებენ თვითეულ ჩვენგანს, რწმენას გვმატებენ მუშაობაში. ამასთან ვერ შევურიგდებით ოდნავ თვითდამშვიდებასაც კი, უფლება არა გვაქვს თუნდაც წუთით შევანელოთ შრომითი აღმავლობა. ხუთწლედის შესრულების მიმდინარეობისას მოპოვებული შედეგების ობიექტური ანალიზი ცხადყოფს არა მარტო წარმატებებს, არამედ სიძნელეებსა და ნაკლოვანებებსაც. სავსებით ნათელია, რომ ხუთწლედის მეორე ნახევარი არანაკლებ დაძაბული იქნება, ვიდრე პირველი ნახევარი. ხუთწლიანი გეგმა რომ კარგად და სრული მოცულობით შეასრულოთ, თვითეულმა მშრომელმა კოლექტივმა, თვითეული ოლქისა და რესპუბლიკის მშრომელებმა მთელი ძალ-ღონით უნდა იმუშაონ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთელი ჩვენი სამეურნეო მშენებლობის მთავარი, ძირითადი პრობლემა, როგორც ეს XXIV ყრილობამ განსაზღვრა, იყო და არის წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. საქმე ეხება ბევრით, საზრიან მუშაობას შრომის ნაყოფიერების [illegible] კვლევის შედეგების წარმოებაში უსწრაფესად დანერგვისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მოწყობილობის უფრო სრულად გამოყენებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვისათვის.

სწორედ ეს მიაჩნია პარტიას წარმოების ზრდის და მისი ეფექტიანობის ამაღლების უდიდეს რეზერვებად. სწორედ ამ საკითხებს უნდა დაუთმონ ყოველდღიური ყურადღება ჩვენმა კადრებმა, ამას უნდა მოახმაროს მთელი ძალები ყველა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ, რომლებმაც კიდევ უფრო შეუპოვრად უნდა წარმართონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა და დარაზმონ მშრომელი მასები სამშობლოს საკეთილდღეო თავდადებული შრომისათვის!

ამხანაგებო! პარტიის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში დიდი როლი განეკუთვნებათ საქართველოს რესპუბლიკას, მის ნიჭიერ და შრომისმოყვარე ხალხს.

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში საქართველოშიც ახლა აღმშენებლობითი პათოსი სუფევს. რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ვადამდე შეასრულეს ცხრა თვის დავალება მრეწველობის მუშაკებმა. მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 100 მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ამასთან მთელი ზეგეგმითი პროდუქცია მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. რესპუბლიკის მშენებლებმა შეასრულეს საიჯარო სამუშაოთა გეგმა, საცხოვრებელი სახლების აგების დავალებანი.

ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარება ჩამორჩებოდა ხუთწლიანი გეგმის დავალებებს. მის დასაძლევად უნდა გააძლიეროთ ეკონომიური განვითარების ტემპი, უფრო სრულად გამოიყენოთ შინაგანი რეზერვები, რომლებიც აქვს თვითეულ საწარმოსა და მშენებლობას.

განსაკუთრებით მიწდა ვთქვა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. სწორედ პროდუქციის ხარისხი გამოხატავს, საბოლოო ანგარიშით, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს, წარმოების ეფექტიანობის ზრდას. სოციალისტური საზოგადოება თავისი არსით ობიექტურად არის დაინტერესებული მთელი რესურსების უაღრესად ეფექტიანი და მიზანშეწონილი გამოყენებით, რაც უფრო მაღალია პროდუქციის ხარისხი, მით უფრო ეფექტიანად იყენებენ ადამიანთა შრომასაც, წარმოების საშუალებებსაც, მით უფრო სრულად კმაყოფილდება მთელი საზოგადოებისა და თვითეული მშრომელის საჭიროებანი.

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ფეხსაცმლის, შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშაობის შესახებ“. ამ დოკუმენტის მნიშვნელობა შორს სცილდება მოცემული სამინისტროს საქმიანობის ფარგლებს. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას პარტია სახავს მთელი ჩვენი ეკონომიკის, ყველა მისი დარგის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად. და ეს სავსებით შეეხება თქვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასაც. საქართველოს მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, სამეურნეო ხელმძღვანელებისა და მეცნიერების, ყველა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის ღირსებისა და პრესტიჟის საქმეა უზრუნველყონ, რომ თქვენი პროდუქცია ტექნიკურადაც სრულყოფილი იყოს და ამავე დროს კიდევ აკმაყოფილებდეს უაღრესად მაღალ გემოვნებასა და მოთხოვნილებებს, რათა მისი კარგი სახელი იზიდავდეს მყიდველებს როგორც საშინაო, ისე მსოფლიო ბაზარზე.

ბევრი კარგი სიტყვა შეიძლება ითქვას საქართველოს სოფლის მშრომელთა სასახელო საქმეებზე. თქვენი მზიური მხარის ბუნება მდიდარი და გულუხვია, მაგრამ მისი სიმდიდრე მხოლოდ გარჯით მოიპოვება. ადამიანი მხოლოდ შრომით იმორჩილებს ბუნებას, მხოლოდ მზრუნველ დამოკიდებულებას ანაზღაურებს ასეეცად მიწა.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი. კარგი ტემპით ამზადებენ მეცხოველეობის პროდუქციას. დღეს არ შეიძლება არ ვთქვა, რომ გასული წლის მეოთხე კვარტალისა და მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით თქვენი რესპუბლიკის ხუთი რაიონი შევიდა მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა საპატიო რიგებში. ჩემი აზრით, დღეს ჩვენ ყველას შეგვიძლია სულითა და გულით მივულოცოთ შეჯიბრების გამარჯვებულთ.

გუშინ საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას უპატაჟეს, რომ შეასრულეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი — მიმდინარე წელს მოკრიფეს 285 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ესე იგი იმდენი, რამდენიც დაგეგმილი იყო ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის. **(ტაში).** საქართველოს მეჩაიეები მტკიცედ უსწრებენ დროს, გადაჭარბებულია ჩაის ფოთლის წლიური კრეფის ყველა რეკორდი!

(გაგრძელება მე-3 გვ.).

კომუნისტი
მე-2 გვერდი
შაბათი,
6/X 1973 წ.

ამხანაგ ა. ჰ. კირილენკოს სიტყვა

(გაგრძელება)

დღეს არ შეიძლება არ მივულოცოთ საქართველოს მეჩაიეებს, ყველა მშრომელს ეს შესანიშნავი გამარჯვება და ვუსურვოთ ახალი დიდი წარმატებანი მათს კეთილშობილურ შრომაში. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ელექტროენერგეტიკოსები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კიდევ უფრო მეტი ენერგიით გააძლიერებენ წარმოების ინტენსიფიკაციას, მტკიცედ იბრძოლებენ ვენახების, ციტრუსების, ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისათვის, ყველაფერს იღონებენ, რათა ქართული მიწის ბარაქა ამშვენებდეს თვითეული საბჭოთა ოჯახის სუფრას.

ამხანაგებმა შევარდნაძემ და ჯავახიშვილმა მითხრეს, რომ მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით, თქვენი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოებმა შეიმუშავეს და 1974 წლისათვის მიიღეს შემხვედრი, უფრო დაძაბული გეგმები.

ეს წინადადებანი, რომლებსაც საფუძვლად უდევს წარმოების შინაგანი რეზერვების მობილიზაცია და რომლებიც შედგენილია შრომელთა ფართო მონაწილეობით, განხილულ იქნა შრომითს კოლექტივებში. ეს წინადადებანი ყოველმხრივ მხარდასაჭერი და მოსაწონია და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმეა შექმნას ყველა პირობა მათი რეალიზაციისათვის, რაც ხელს შეუწყობს მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

ამხანაგებო! საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მოპოვებული მიღწევები მისი შესანიშნავი ხალხის — შუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებული, გმირული შრომის შედეგია.

ამ დარბაზში დღეს შეიკრიბნენ შრომის ფრონტის მოწინავეები, ადამიანები, რომლებიც შეადგენენ რესპუბლიკის სიამაყეს — ქარხნებისა და ფაბრიკების, შახტებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მომსახურების სფეროს საწარმოების მოწინავეები, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, მამაცი საბჭოთა არმიის, პარტიული და საბჭოთა მუშაკების წარმომადგენლები.

ჩვენ შორის არის ცნობილი ნოვატორი, ჭუთაისის ავტოქარხნის გამმართველი, სოციალისტური შრომის გმირი იოსებ ხაზარაძე. რაციონალიზატორთა ბრიგადაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, მეოცდაერთე შემოქმედებითი თანამეგობრობით გაერთიანებული არიან მუშები, ტექნიკოსები და ინჟინრები. მომდინარე ხუთწლედში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის გზით მათ სახელმწიფოს უკვე დაუზოგეს 200 ათას მანეთზე მეტი. ამხ. ხაზარაძე, რომელიც თავისი საქმის დიდებული ოსტატია, რომელსაც ინჟინერული აზროვნება აქვს, განასახიერებს თანამედროვე საბჭოთა მუშის შესანიშნავ თვისებებს.

მინდა აღვნიშნო აგრეთვე ისეთი შესანიშნავი ოსტატები, როგორიც, არიან სოციალისტური შრომის გმირი მჭედელი კონსტანტინე ილურიძე, სოციალისტური შრომის გმირი მეტრომშენებელი გრუზო ობოლაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მეფოლადე მიხეილ სპანდერაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ხარატი ნიკოლოზ როდომანჩენკო, სოციალისტური შრომის გმირი მეშახტე ლეონტი ტყებუჩავა.

როცა ვასახელებთ მრეწველობისა და მშენებლობის მოწინავეებს, არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიხსენიოთ თქვენი რესპუბლიკის მთელი მუშათა კლასი, პატივი და დიდება მას თავდადებული, გმირული შრომისათვის! **(ტაში).**

როგორც მოგეხსენებათ, ბევრ ფიზიკურ და სულიერ ძალებს მოითხოვს სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომა, თქვენს რესპუბლიკაში კი — განსაკუთრებით მეჩაიის შრომა. სწორედ ასე, ნიჭიერად, თავისი საქმის სიყვარულით მუშაობს შესანიშნავი საბჭოთა ქალი, მთელ ქვეყანაში სახელმოხვეჭილი მეჩაიე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია. მის სახელოვან შრომითს საქმეებში, მთელ მის ცხოვრებაში, როგორც სარკეში, ასახულია ქართული სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ძნელი და გმირული ისტორია. რამდენიმე ათწლეულია იგი აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო მშენებლობაში და თავისი მაღალი მოწოდება ჰპოვა კოლექტიურ შრომაში სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მე მიამბეს კიდევ ერთი შესანიშნავი მშრომელის — სოციალისტური შრომის გმირის მწვეალავ ეკატერინე ლეშჩევას წარმატებებზე. მაღალი პროფესიული ოსტატობა და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება საქმისადმი საშუალებას აძლევს ყოველწლიურად თვითეულ ძროხაზე მიიღოს 4,5 ტონა რძე. ეს არა მარტო მისაბაძი მაგალითია, არამედ იმ შესაძლებლობათა მაჩვენებელიც არის, რომლებიც ისახება საქართველოსათვის არატრადიციულ სარძეო მეცხოველეობის დარგში, როცა მუშაობას გულმოდგინედ და საქმის ცოდნით ჰკიდებენ ხელს.

ბევრი შესანიშნავი მშრომელი აღზარდა საქართველომ. რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ კარგად იცნობენ სოციალისტური შრომის გმირებს მეჩაიეს დარეჯან ტაკიძეს, მექანიზატორს ნიკო მელიქიშვილს, მეგენახეს მიხეილ მექვეფრიშვილს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს არსენ კობაიძეს. ისინი და ასობით, ათასობით მათი თანამებრძოლნი არიან კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში. პატივი და დიდება მათ! **(ტაში).**

ამხანაგებო! საქართველოს რესპუბლიკის მაგალითზე კარგად ჩანს, რა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს საბჭოთა ხალხების მჭიდრო თანამშრომლობა და სულიერი ურთიერთგამდიდრება მეცნიერებისა და კულტურის პროგრესზე. ქართველ მეცნიერთა ბევრი მიღწევა სამართლიანად შევიდა საბჭოთა მეცნიერების ოქროს ფონდში. მსოფლიო აღიარება მოიპოვეს ქართველ მათემატიკოსთა და ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა და ფიზიოლოგთა ნაშრომებმა. საქართველოს გეოლოგთა და მეტალურგთა აღმოჩენები საშუალებას გვაძლევენ უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრენი.

თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს თქვენს თანამემამულეს, გამოჩენილ მათემატიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სრულიტა პრეზიდენტს, სოციალისტური შრომის გმირს ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილს. მან აღზარდა ნიჭიერ მკვლევართა დიდი ჯგუფი. ხოლო ნიკოლოზ მუსხელიშვილის მიერ შექმნილმა მათემატიკურმა სკოლამ გაამდიდრა საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერება.

ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ დიდად პატივცემული და აღიარებული არიან ისეთი თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები, როგორიც არის ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილი, ხლია ნესტორის-ძე ვეკუა, აკაკი გაბრიელის-ძე შანიძე და მრავალი სხვა.

საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ნიჭიერმა ოსტატებმა არა მარტო სიჯვარულით შემოგვინახეს ყოველივე საუკეთესო ქართველი ერის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობიდან, არამედ შექმნეს შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული ახალი ლიტერატურა, ახალი ხელოვნება, რომელიც გამდიდრებულია სხვა მოძმე ხალხთა შემოქმედებითი მიღწევებით, საბჭოთა ადამიანები პატივისცემით წარმოთქვამენ კონსტანტინე გამსახურდიას, ვერიკო ანჯაფარიძის, ლადო გუდიაშვილის, ნოდარ დუმბაძის, ოთარ თაქთაქიშვილისა და ბევრი სხვა გამოჩენილი ოსტატის სახელებს. **(ტაში).**

ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მადლიერების ღირსია რესპუბლიკის მასწავლებლების, ექიმების, ინტელიგენციის ბევრი სხვა წარმომადგენლის — თავმდაბალი და კეთილშობილი მშრომელების შრომა, რომლებიც მთელ თავიანთ ცოდნასა და ენერგიას ახმარენ ხალხს.

მინდა დავასახელო ისინი, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მოწინავე ადამიანი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. ნება მიბოძეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადი მადლობა ვუძღვნა ყველას, ვინც მთელ თავის გონებას, ნებისყოფასა და ნიჭს ახმარს კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს, ვინც თავდადებული შრომით ამრავლებს სამშობლოს დიდებასა და სიმდიდრეს, ვუსურვო მათ ახალი წარმატებანი მუშაობაში და დიდი პირადი ბედნიერება. **(ტაში).**

ამხანაგებო! საბჭოთა საქართველოს წარმატებებში, რომლებიც ღირსეულად აღინიშნა ხალხთა მეგობრობის ორდენით, დიდი დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის კომუნისტებს, პარტიულ ორგანიზაციებს. საქართველოს კომუნისტური პარტია წარმოადგენს ჩვენი ლენინური პარტიის ერთ-ერთ დიდ, საბრძოლო რაზმს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთგულ და საიმედო დასაყრდენს. მას ჰყავს პოლიტიკურად მომწიფებული, გამოცდილი კადრები, რომლებსაც შეუძლიათ უნარიანად გადაწყვიტონ კომუნისტური მშენებლობის რთული ამოცანები. **(ხანგრძლივი ტაში).**

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დღენიადაგ ზრუნავს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, მათი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კომუნისტთა აქტივობის განვითარებისათვის.

ამ ზრუნვის ერთ-ერთი გამოვლინება იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. თქვენ კარგად იცნობთ ამ დოკუმენტს, იგი გამოქვეყნდა და ფართოდ იქნა განხილული რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში. ისიც მოგეხსენებათ, რომ ამ დადგენილებაში დადებით მომენტებთან ერთად აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი თქვენი დიდაქალაქის პარტორგანიზაციის მუშაობაში. ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თავიდან ბოლომდე მიზნად ისახავს იმას, რომ ყოველმხრივ გააძლიეროს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა, აამაღლოს იგი თანამედროვე მოთხოვნათა და ამოცანათა დონემდე.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა დიდად მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება, როგორც XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის კონკრეტული პროგრამა. **(ტაში).**

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დღენიადაგ აფასებს დიდ მრავალმხრივ მუშაობას, რომელსაც ამჟამად ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, მისი ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო. სკკპ ცენტრალური კომიტეტი საესებით უჭერს მხარს ღონისძიებებს, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, კადრების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, იდეოლოგიური მუშაობის გასაძლიერებლად, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღმოსაფხვრელად.

ამხანაგებო, საგანგებოდ მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ აუცილებელია შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება. როგორც მოგეხსენებათ, ახლახან, ტაშკენტში გამოსვლისას, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მთელი ძალით გაუსვა ხაზი ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის აქტუალობას. „უფლება არა გვაქვს, — თქვა მან, — შეეგუოგდეთ იმას, რომ ზოგიერთ საწარმოში, კოლმეურნეობაში. საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებაში შრომის დისციპლინა ზოგჯერ მოიკოჭლებს, რომ ჯერ კიდევ არ გადაშენებულან ადამიანები, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან თავიანთ უშუალო შრომითს მოვალეობას. ამ მოვლენების წინააღმდეგ უნდა ვაწარმოოთ უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა. შრომითს ღირსებას უნდა გავუფრთხილდეთ, ხოლო იმათ, ვინც ამას იკადრებს, უაღრესად მკაცრად უნდა მოგკითხოთ. ამაზე დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა ორგანოები, პროფკავშირები, კომკავშირი“.

ამ მითითებებს პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ თქვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობასთან და ისინი მათი ყოველდღიური ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები პირნათლად შეასრულებენ ყველა ამოცანას, რომლებიც განსაზღვრეს სკკპ XXIV ყრილობამ, ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა, და მოიპოვებენ ახალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს საბჭოთა სოციალისტური საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! საესებით კანონზომიერია, რომ ჩვენი პარტია, მთავარ ყურადღებას უთმობს საშინაო საქმეებს, კომუნისტური მშენებლობის გეგმებს. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რამდენად მჭიდროდ უკავშირდება ამ გეგმების შესრულება ჩვენს საგარეო პოლიტიკას, ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის ხელშეწყობი საერთაშორისო პირობების შექმნისათვის ბრძოლას.

ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა სოფიასა და ტაშკენტში თავისი ამასწინანდელი გამოსვლების დროს მკაფიოდ გააშუქა ჩვენი პარტიის აქტიური და თანმიმდევრული საგარეოპოლიტიკური საქმიანობის მზარდი მნიშვნელობა, დიდი დამაჯერებლობით დააასაბუთა საბჭოთა კავშირის პოზიცია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ბევრი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მიმართ.

ამ გამოსვლებმა ფართო რეზონანსი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის კლასობრივ და რეალისტურ მიდგომას საერთაშორისო ცხოვრების რთული საკითხების გადაჭრისადმი გაგებით ეკიდებიან და მხარს უჭერენ მშრომელთა მილიონიანი მასები, მსოფლიოს მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა.

ჩვენს დროში მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება უმწვავესი პრობლემაა კაცობრიობისათვის. და ღირსშესანიშნავია, რომ ისევე როგორც წინათ, მშვიდობის დროშა მტკიცედ და შეუპოვრად აღმართეს საბჭოთა კავშირმა, მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმა, მსოფლიოს კომუნისტურმა მოძრაობამ.

როგორც მითხრეს, ქართველები, საღამოს ერთმანეთს რომ ეთხოვებიან, ღამემშვიდობისას, ამბობენ, დღისით კი, მეგობრებს რომ მიესალმებიან გამარჯვებას უსურვებენ. შორეულ წარსულში წარმოშობილმა მისალმების ამ ფორმამ, ალბათ, თავისებურად ასახა ხალხის ისტორიის ის პერიოდი, როცა მხოლოდ ღამე აძლევდა ადამიანებს მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ხანმოკლე შესვენების საშუალებას, როცა მშვიდობა მათთვის სანატრელი, მაგრამ შორეული ოცნება იყო.

1917 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ჩვენ შრომისა და ბრძოლის ძნელი გზა განვლეთ, რათა ახდენილიყო ეს ოცნება, რათა საბჭოთა ადამიანებს ჰქონოდათ მშვიდობიანი ღამეც და მშვიდობიანი დღეც, რათა მშვიდობის საქმეს გაემარჯვა მთელ დედამიწაზე. **(მჭუხარე ტაში).**

უკანასკნელი წლების მანძილზე სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციის დროს, ჩვენ, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ და თავდაცვით ძლიერებაზე დაყრდნობით, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით მივაღწიეთ ახალ დიდმნიშვნელოვან მიჯნებს მშვიდობის განმტკიცებაში.

დასაბამი მიეცა ისტორიულ შემობრუნებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, შემობრუნებას სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის, პრინციპების სულ უფრო ფართოდ დამკვიდრებისაკენ. ეს არის ალსი საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებისა, რომლებსაც ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებულ შტატებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ვიზიტის დროს. ამას ისახავს მიზნად საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებიც, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ დადო ევროპის ისეთ უდიდეს სახელმწიფოებთან, როგორიც არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საფრანგეთი.

უკანასკნელ ხანს საგარეოპოლიტიკურ დარგში მიღწეული წარმატებანი იმ მსოფლიო რევოლუციური პროცესის უძლეველი წინსვლის შედეგია, რომელსაც მოჰყვა ძალთა თანაფარდობის შემდგომი შეცვლა სოციალიზმის სასარგებლოდ, ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგის პოზიციების შესუსტება, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავება.

ჩვენმა პარტიამ სრულად გამოიყენა მშვიდობის ინტერესებისათვის შეცვლილი ობიექტური პირობები და ხელშეწყობი საერთაშორისო ტენდენციები. ეს დამაჯერებლად დასტურებს, რომ ჩვენი საგარეოპოლიტიკური კურსი სწორი და შორსმჭვრეტელია.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში მოპოვებული წარმატებანი, ატომური ომის თავიდან აცილებისა და ატომური შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მიღწეული შეთანხმებანი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მშვიდობის საქმე ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველყოფილია. წინ ჯერ კიდევ დაძაბული ბრძოლის ძნელი გზაა. მაგრამ ეს ბრძოლა ახლა წარმოებს ახალი, გაცილებით უფრო ხელსაყრელი პოზიციებიდან, და ამიტომ ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ოპტიმისტურად შევუურებდეთ მომავალს.

იგივე უნდა ითქვას კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ჩვენს ეკონომიურ ურთიერთობაზე. თუმცა იგი ჯერ კიდევ არ შეესაბამება არსებულ შესაძლებლობებს, მიღწეული მიგვაჩნია კარგ დასაწყისად და ვიმედოვნებთ, რომ გაფართოვდება ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მოცულობა და ფარგლები.

ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ, რომ შეთანხმებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა დადო ამერიკის შეერთებულ შტატებთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთთან, შეესაბამებიან მთელი მშვიდობისმოყვარე პროგრესული ძალების ინტერესებს. ისინი არა მარტო ქმნიან სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტის უფრო ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებს, არამედ კიდევაც აფართოებენ თავიანთი უფლებებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებისა და განვითარებადი სახელმწიფოების ხალხების ბრძოლის შესაძლებლობებს.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, კანონიერად ვამაყობთ იმით, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების უზრუნველყოფაში ისტორიული ინიციატივა და მთავარი დამსახურება მიუძღვით ჩვენს ქვეყანას, ჩვენს კომუნისტურ პარტიას, მას ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

საბჭოთა ხალხი, მსოფლიო საზოგადოებრიობა აღნიშნავენ უდიდეს პირად წვლილს, რომელიც ამ ამოცანის გადაწყვეტაში შეაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს. ყველამ, ვინც მუშაობს ლეონიდ ილიას-ძესთან ერთად, მისი ხელმძღვანელობით, ისევე როგორც მთელმა ჩვენმა პარტიამ და ხალხმა, კარგად იცის, როგორი შორსმჭვრეტელობითა და გულმოდგინებით, დროისა და ძალღონის დაუზოგავად იღვწის იგი ძირეული საგარეოპოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია, რომელიც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს გადაეცა, ერთგული ლენინელის, ჩვენი პარტიის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის დამსახურებული ჯილდოა.

საბჭოთა კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებდნენ თვალს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ამასწინანდელ ვიზიტს მოძმე ბულგარეთში. ეს ვიზიტი, რომლის დროს განიხილეს ჩვენი სოციალისტური ქვეყნების შემდგომი ყოველმხრივი თანამშრომლობის, მათი დაახლოების დიდმნიშვნელოვანი საკითხები, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა. ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა ამ დღეებში ამხანაგ ბრეჟნევისათვის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის ოქროს ვარსკვლავისა და გიორგი დიმიტროვის ორდენის გადაცემა. ეს კიდევ ერთი ბრწყინვალე აღიარებაა იმისა, რომ ყველა ჩვენი მეგობარი და თანამოაზრე მხურვალედ იწონებს ჩვენი პარტიის ლენინურ კურსს, დიდად აფასებს ლეონიდ ილიას-ძის პირად წვლილს ხალხთა სოციალისტური ოჯახის შეკავშირებაში, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! კაპიტალისტურ ქვეყნებთან ჩვენს ურთიერთობაში დასახულ შემობრუნებას სერიოზული და უდავო პლუსები აქვს. მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეები ცდილობენ თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის გამოიყენონ დაწყებული დაძაბულობის შენელება. არიან, მაგალითად, მოღვაწენი, რომლებიც ადგენენ საზოგადოებრივ სისტემათა რაღაც დაახლოებისა და შერწყმის, ჩვენი მხრივ დიდი პოლიტიკური დათმობებისა და სოციალისტური წყობილების თანდათანობით ლიკვიდაციის საფუძველზე მათი „კონვერგენციის“ შორს გამიზნულ გეგმებს. ზოგიერთი ამ მოღვაწეთაგანი იმედოვნებს, რომ კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეთა უფრო ფართო პირადი კონტაქტებიც შეარყევს სოციალისტური ცხოვრების წესის საფუძვლებს. ეს იმედები ამაო და უსაფუძვლოა!

ჩვენ მუდამ იმით ვხელმძღვანელობდით და ვხელმძღვანელობთ, რომ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა წარმოადგენს არა კლასობრივ შერიგებას, არამედ კლასობრივი ბრძოლის ფორმას საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენ არასოდეს არ დაგვითმია და არ დავთმობთ იმას, რაც ეხება ჩვენს იდეოლოგიურ პრინციპებს, არც იმას, რაც ეხება ჩვენი სახელმწიფოსა და ჩვენი მოკავშირეების სუვერენულ უფლებებს. იმ ყოველგვარი ცდების პასუხად, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში მიღწეული დაძაბულობის შენელება გამოიყენონ კომუნისტური იდეალების შესარყევად, საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ, ჩვენ ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა, გავადიდოთ ქომეთხოვნელთა ყველაფრისადმი, რაც ეხება ჩვენი მსოფლმხედველობის სიწმინდეს და სოციალისტური მორალისა და მართლწესრიგის ნორმების დაცვას.

ჩვენ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, რომ იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიულ ძალებს იარაღი არ დაუყრიათ. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩილეში მომხდარმა რეაქციულმა გადატრიალებამ, რომელსაც მოჰყვა სახალხო ერთიანობის კანონიერი მთავრობის დამხობა, ლათინური ამერიკის განმათავისუფლებელი, ანტიიმპერიალისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს ავაზაკური მოკვლა. იღვრება ჩილელი ხალხის ბედნიერებისათვის კეთილშობილ მებრძოლთა სისხლი. დიდ საფრთხეშია ჩილელ კომუნისტთა ხელმძღვანელის, შესანიშნავი რევოლუციონერის, ჩვენი დიდი მეგობრისა და ამხანაგის ლუის კორვალანის სიცოცხლე. და ყოველივე ამის უკან დაუფარავად ჩანს იმპერიალისტური რეაქციის ყველაზე აღვირახსნილი ძალების ავბედითი ხელი.

სამხედრო ხუნტამ, რომელმაც გათელა საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმა, თავს ნება მისცა ჩაედინა უკანონობის, ძალადობისა და თვითნებობის აქციები ჩილეში მყოფი საბჭოთა მოქალაქეებისა და დაწესებულებების მიმართაც. შექმნილ ვითარებაში საბჭოთა მთავრობამ შეუძლებლად ჩათვალა ამ ქვეყანაში სსრ კავშირის საელჩოს შემდგომი დარჩენა და განაცხადა, რომ იგი წყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობას ჩილესთან.

ჩვენს ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში, ახლა იმართება მძლავრი საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები. საბჭოთა ადამიანები, საზღვარგარეთის ქვეყნების მშრომელები, ყველა, ვისთვისაც ადამიანის უფლებანი და დემოკრატია, გულისტკივილით აცხადებენ პროტესტს ჩილეში სისხლიანი ტერორის წინააღმდეგ, მოითხოვენ ლუის კორვალანის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რეაქციული ძალების ვერავითარი მოქმედება ვერ შეარყევს ხალხთა უდიდეს მისწრაფებას თავისუფლებისა და პროგრესისადმი.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ხალხთა მზარდი ბრძოლის პირობებში განსაკუთრებით ნეგატიური ხასიათით გამოირჩევა ჩინეთის ხელმძღვანელთა საგარეო პოლიტიკური კურსი.

პეკინმა ახლა ნიღაბი ჩამოიხსნა და უსირცხვილოდ კრავს ბლოკს იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციულ წრეებთან.

მაოისტები ყოველნაირად ცილს სწამებენ საბჭოთა კავშირსა და მთელ სოციალისტურ თანამეგობრობას, ეწინააღმდეგებიან ევროპისა და აზიის უშიშროების განმტკიცების ჩვენს პოლიტიკას. ისინი არაფერს არ თაკილობენ, რათა განხეთქილება ჩამოაგდონ სოციალისტურ სახელმწიფოებსა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებს შორის. გახიზარაღების საკითხებსა და მთელ რიგ სხვა საერთაშორისო პრობლემებზე მაოისტები იმავე შეხედულებისა არიან, როგორც აგრესიული იმპერიალისტური წრეები.

მაოიზმი, რომელიც სრულად ჩამოშორდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საერთო ხაზს, მარქსიზმ-ლენინიზმს, დაადგა ანტისაბჭოთა პოზიციებს, რითაც ცხადყო, რომ არის ისეთი მიმდინარეობა, რომელიც მტრულად განწყობილია მთელი თანამედროვე რევოლუციური მოძრაობისადმი. ეს კიდევ ერთხელ აშკარად ცხადყო ამას წინათ გამართულმა ჩინეთის კომპარტიის X ყრილობამ.

პეკინის ხელმძღვანელთა ასეთი კურსის მიუხედავად, საბჭოთა ადამიანები პატივისცემით ეკიდებიან ჩინეთის მშრომელ მასებს. ჩვენი პარტია ღრმად დარწმუნებულია, რომ საბჭოთა და ჩინელი ხალხების ძიერული ხანგრძლივი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ საბჭოთა კავშირი, როგორც ნათქვამია ჩვენს დეპეშაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 24-ე წლისთავის გამო, თანმიმდევრულად იღწვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისა და თანამშრომლობისათვის სუვერენიტეტის, ურთიერთპატივისცემის, თანასწორუფლებიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების დაცვის საფუძველზე.

ამასთან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მოძმე ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს თავიანთი მოვალეობად მიაჩნიათ შეურიგებლად იბრძოლონ მაოიზმის წინააღმდეგ, ისევე როგორც „მემარცხენე“ და მეიარჯვენე ოპორტუნიზმის ყოველგვარ ნაირსახეობათა წინააღმდეგ, სოციალისტური თანამეგობრობის, მთელი მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის.

ჩვენ და ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები — როგორც კიდევ ერთხელ ცხადყო ყირიმის ამასწინანდელმა შეხვედრამ — ერთსულოვანი ვართ ყველაფერში, რაც ეხება სოციალიზმის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას, საერთაშორისო უშიშროების დამკვიდრებასა და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან ურთიერთობის განვითარებას.

მოძმე პარტიათა ხელმძღვანელები ყირიმში შეთანხმდნენ აქტიურად განაგრძონ ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, რათა იგი შეუქცევადი გახადონ. მიღწეულია ურთიერთგაგება სრულიად ევროპის თათბირის წარმატებით დამთავრების პერსპექტივების თაობაზე. მომდევ სოციალისტური ქვეყნები ერთობლივად იბრძოლებენ შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ხანგრძლივი საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარების გზით რეალური წინსვლისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მოძმე პარტიებს საჭირბოროტო ამოცანად მიაჩნიათ, რომ დაძაბულობის შენელების ზონა გასცდეს ევროპის კონტინენტის ფარგლებს, განუხრელად სრულდებოდეს შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ, შეწყდეს ომი და მოწესრიგდეს მდგომარეობა კამბოჯაში, გათავისუფლდეს ისრაელ დამპყრობთა მიერ ოკუპირებული არაბული ტერიტორიები. ფართო საერთაშორისო საზოგადოებრიობის დარაზმვას ამ აქტუალური პრობლემის გადაჭრისათვის საბრძოლველად ხელს შეუწყობს მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი, რომელი

ამხანაგ ა. პ. კირილენკოს სიტყვა

(დასასრული)

საერთაშორისო ვითარებაში დადებითი ძვრების განმტკიცება, ხელმოწერილ შეთანხმებათა თანმიმდევრული რეალიზაცია, მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება — აი ის მიზნები, რომლებსაც ახლა პარტია უთმობს მთავარ ყურადღებას და ახმარს მთელ თავის მეცადინეობას. თქვენ კარგად გესმით, რომ ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა დაუცხრომელი შრომა ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი გაზრდისათვის, ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების საბრძოლო წრთობისა და სამხედრო-პოლიტიკური მომზადების ამაღლებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენნ სახელმწიფოს განუხრელად მზარდი ძლიერება, საბჭოთა ხალხის ერთიანობა და შეკავშირება ის საიმედო საძირკველია, რომელსაც ემყარება ჩვენი პარტიის საერთაშორისო მოღვაწეობა, მისი ლენინური საგარეო პოლიტიკის წარმატებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებთან ძმური კავშირით კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ეს საძირკველი განუხრელად მტკიცდებოდეს, რათა ჩვენი სამშობლო გულდაჯერებით და მტკიცედ მიდიოდეს დიადი მიზნისაკენ, კომუნიზმისაკენ **(მქუხარე ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენ იცით, რომ ხალხთა მეგობრობის ორდენით ჩვენში დამსახურებულად დაჯილდოვდა ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და ეროვნული ოკრუგი. სოციალიზმის გარდა, არც ერთ საზოგადოებრივ წყობილებას არ შეეძლო და არც ჰქონდა მორალური უფლება დაეწესებინა და მთელი ხალხები დაეჯილდოვებინა ასეთი ორდენით. მხოლოდ სოციალიზმს, რომელმაც ბოლო მოუღო ეროვნულ უთანასწორობას, ჩაგვრას, შეურაცხყოფასა და უნდობლობას ხალხთა შორის, რომელმაც დაამკვიდრა მათი ყოველმხრივი თანასწორობა და ერთიანობა, ჰქონდა უფლება შეეტანა თავისი უმაღლესი ჯილდოების სიაში ხალხთა მეგობრობის ორდენი, რომელსაც დღეს დამსახურებულად იღებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა! **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ წაგიკითხო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება.

(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

ამხანაგი ა. პ. კირილენკო კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას საქართველოს სს რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ. (დარბაზში იმართება ოვაცია, გაისმის შეძახილები „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!", გრიალებს „ვაშა!").

ამხანაგმა ა. პ. კირილენკომ ორდენი მიაბნია საქართველოს სსრ დროშას. (ოვაცია ახალი ძალით ჭეს. საზეიმო სხდომის მონაწილენი ერთხმად გაიძახიან „ვაშა!", ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — დიდება!", „მეგობრობა!", „საბჭოთა კავშირს — დიდება!").

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ერთხელ კიდევ მხურვალედ მივულოცო საპატიო ჯილდო საქართველოს სსრ მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას, კომუნისტებსა და კომკავშირელებს, ახალგაზრდობას, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებს. ხელ ველოდ ... დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჯილდო აღაფრთოვანებს საქართველოს მშრომელებს ახალი საქმეებისა და წარმატებებისათვის კომუნისტურ მშენებლობაში.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას! **(ხანგრძლივი ტაში).**

დიდება საბჭოთა საქართველოს! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს და მტკიცდებოდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — ჩვენი მძლავრი მრავალეროვანი სამშობლო! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ლენინის დიად პარტიას, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! **(ხანგრძლივი ტაში).**

დიდება კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს! **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ დიდი ყურადღებით და მღელვარებით მოვისმინეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ანდრია პავლესძე კირილენკოს ღრმაშინაარსიანი, დიდი ადამიანური გულთბილობით გამსჭვალული სიტყვა, რომელმაც ეს-ეს არის გადასცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ხალხთა მეგობრობის ორდენი.

ეს წუთები ჩვენთვის დაუვიწყარია.

ამ საზეიმო ჟამს რესპუბლიკის ყველა მშრომელი კანონიერი სიამაყით და სიხარულით შესცქერის მხედრული და შრომითი გმირობის დიდებით მოსილ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საჯელმწიფო ალამს. ამ ალისფერ დროშაზე ორი ლენინის ორდენისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გვირგვინი აელვარია სამშობლოს მეოთხე ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი.

დღეს სიტყვები არ გვყოფნის პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსადმი უღრმესი მადლიერების გრძნობის გამოსახატავად კომუნიზმის მშენებლობასა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში ქართველი ხალხის წვლილის დიდად დაფასებისათვის.

თქვენი სახით, ძვირფასო ანდრია პავლესძეკ, დღეს საქართველოს მიწაწყალზე სულითა და გულით მივესალმებით საბჭოთა საქართველოსა და ჩვენი ხალხის დიდ მეგობარს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს, რომელიც ჩვენთან ჩამოვიდა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო მისიით, ეს მისია რესპუბლიკისა და ჩვენი ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენაა.

თქვენ, დიდად პატივცემულო ანდრია პავლეს-ძეკ, აქ გვითხარით ბევრი შესანიშნავი ბრძნული, კეთილი, გულთბილი, დაუვიწყარი სიტყვა და ამით მოხიბლეთ არა მარტო ამ დარბაზში მყოფნი, არამედ დაეუფლეთ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მცხოვრების გონებასა და გულს, რომელთა მზერა ახლა მიპყრობილია ტელევიზორების ცისფერი ეკრანისადმი.

დიდად მადლიერი ვართ თქვენი და გულითადად გიძღვნით მადლობას ოთხგზის ორდენოსანი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით.

საბჭოთა საქართველო ხალხთა მეგობრობის ორდენს იღებს ისეთ პერიოდში. როცა რესპუბლიკაში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა პარტიის XXIV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ამ პროცესის თავისებურებას რესპუბლიკაში განსაზღვრავს ისიც, რომ იგი მიმდინარეობს პარტიის თბილისის სჯალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების რეალიზაციის ნიშნით. ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას დიდი მადლობით და გულთბილად შეხვდა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი. იგი გახდა ყველა კომუნისტისა და მშრომელის საბრძოლო პროგრამა ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების კეთილისმყოფელი გავლენა უკვე იგრძნობა საბჭოთა საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში.

ჩვენ ოპტიმისტურად შეგყურებთ მომავალს. ამისათვის ყველა საფუძველი გვაქვს. რესპუბლიკაში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა მეცხრე ხუთწლედის მიმდინარე. გადამწყვეტი წლის 9 თვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

საქართველოს მრეწველობამ ცხრა თვის გეგმა შეასრულა 24 სექტემბერს. შესრულებულია პროდუქციის რეალიზაციისა და საერთო პროდუქციის წარმოების გეგმები. 9 თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 110 მილიონი მანეთის პროდუქცია. გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით სამრეწველო წარმოების მატებამ შეადგინა დაახლოებით 6 პროცენტი, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5 პროცენტით.

მნიშვნელოვანი ძვრები გვაქვს სოფლის მეურნეობაშიც. საქართველოს მეჩაიეებმა უთუოდ დიდი გამარჯვება მოიპოვეს, როგორც აქ აღნიშნა ამხ. ა. პ. კირილენკომ, მათ მტკიცედ გაუსწრეს დროს, გადააჭარბეს ჩაის ფოთლის წლიური კრეფის ყველა რეკორდს.

წელს მოვიყვანეთ აგრეთვე საქართველოსთვის რეკორდული მარცვლეულის მოსავალი.

სეტყვისა და სხვა სტიქიური უბედურების მიუხედავად რესპუბლიკის სოფლის მშრომელები გმირულად შრომობენ ყურძნის მოსავლის აღების საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის.

მიმდინარე წლის 9 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოება: რძისა — 8 პროცენტით, კვერცხისა — 41, ხორცისა — 10 პროცენტით, ამასთან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცი წარმოებულია 8 პროცენტით მეტი, ღორისა — 7 და ფრინველისა — 33 პროცენტით მეტი.

ძლიერდება კაპიტალური მშენებლობის ტემპები. მიმდინარე წლის 9 თვეში სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ამოქმედდა 50 პროცენტით მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე გასული წლის სამ კვარტალში. თვიდან თვემდე ძლიერდება საბინაო მშენებლობის ტემპები. წელს პირველად ამ ბოლო 7 წლის განძინაზე რესპუბლიკაში მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა საბინაო მშენებლობის გეგმა.

უმჯობესდება რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და მაღლდება მათი კულტურული დონე. 1973 წლის პირველ ნახევარში მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასი გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 3 პროცენტით და მეტად გაიზარდა. იზრდება ჩვენი კოლმეურნეების შრომის ანაზღაურებაც.

საბჭოთა საქართველოს პროდუქცია დღეს იგზავნება არა მარტო ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, არამედ მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაშიც.

უმაგალითოდ აყვავდა ქართული მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენს მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომები, ქართველ მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა, კულტურის ბევრი სხვა დარგის მოღვაწეთა ნიჭიერი ნაწარმოებები დღეს ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშიც.

განა შეეძლო ამაზე ეოცნება რევოლუციამდელ საქართველოს მეფის რუსეთის ნახევრადფეოდალურ, კოლონიურ განაპირა მხარეს? ვფიქრობ, რომ არა. ჩვენი წარმატებანი — ეს არის დიდი ოქტომბრის ნაყოფი, ხალხთა ლენინური მეგობრობის ნაყოფი.

ზემოთ დასახელებული ციფრები და პროცენტები, რომლებშიც ესოდენ ლაკონიურად ინტეგრირებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების მაჩვენებლები, მჭევრმეტყველურად მოწმობენ, რომ საქართველოს კომპარტია, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი დაუცხრომლად იბრძვიან სკკპ ისტორიული XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და თბილისის სჯალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი გადაწყვეტილების განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის კომპარტიას მიაჩნია, რომ საქართველოს სსრ წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში მით უფრო გაიზრდება, რაც უფრო აქტიურად ვიბრძოლებთ სახალხო მეურნეობაში იმ ჩამორჩენის დასაძლევად, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მიერ ერთ დროს დაშვებული ზოგიერთი შეცდომისა და გადახრის შედეგი იყო.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის პირადი მითითებით მიმდინარეობს ღონისძიებათა მთელი კომპლექსის შემუშავება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ჩამორჩენის დასაძლევად.

ჩვენ, საქართველოს კომუნისტები, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელნი, სამშობლოს მეოთხე ჯილდოთი ფრთაშესხმულნი, ჩვენი ძალების რწმენით აღვსილნი, გაბედულად და შემართებით ვიწყებთ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების პერსპექტიული გრძელვადიანი გეგმების შემუშავებას, დღითიდღე ვაძლიერებთ ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოების მართვის მეცნიერულ საფუძვლებს, რადგან ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. მისი შემოქმედებითი ძალა უწინარეს ყოვლისა უნდა ვლინდებოდეს ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

მთავრობის მაღალი ჯილდოს პასუხად რესპუბლიკის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს მისამ. გადამწყვეტი წლის მომდევნო, ხუთწლედის დამამთავრებელი ეტაპის წინა წელს კიდევ უფრო გააფართოონ, გაალრმავონ და განამტკიცონ ყველა დადებითი ტენდენცია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში და, მიმდინარე ხუთწლედის პირველ ნახევარში სერიოზული ჩამორჩენის მიუხედავად, მომავალი წელი გახადონ მეცხრე ხუთწლედის ყველა დავალების ვადამდე შესრულებისათვის რეალური ნიადაგის მომზადების წელიწადად.

ამ ამოცანას წარმატებით გადავჭრით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუცხრომლად დავეუფლებით სამეურნეო მშენებლობის ლენინურ პრინციპებს, ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის ლენინურ სტილსა და მეთოდებს, თუ პრაქტიკაში შემოქმედებითად გამოვიყენებთ ლენინის უკვდავ მემკვიდრეობას, იმ ბრძნულ რჩევა-დარიგებას, რომელსაც დიდი ლენინი აძლევდა ყველა კომუნისტს, მათ შორის საქართველოს კომუნისტებსაც.

როგორც ცნობილია, 1923 წლის მარტში მძიმედ ავადმყოფმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა უკანახა თავისი უკანასკნელი სამი დოკუმენტი, რომლებიც ეძღვნებოდა საქართველოს საკითხს. საქართველოს კომპარტიას. თავისი დაუცხრომელი მოღვაწეობა დიდმა ლენინმა დაამთავრა ლეპრეში, რომელიც გამოუგზავნა ფილიპე მახარაძისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებს. დეპეშაში ქართველი კომუნისტებისადმი. ნათქვამია: „პატივცემულო ამხანაგებო! სულითა და გულით ვადიენებ თვალს თქვენს საქმეს. თქვენთვის ვამზადებ ჩანაწერებსა და სიტყვას. პატივისცემით — ლენინი. 1923 წლის 6 მარტი".

სამწუხაროდ, ლენინის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა და მან ვეღარ მოამზადა წერილი და სიტყვა საქართველოს საკითხზე. დიდმა ბელადმა ჩვენ დაგვიტოვა უჩქნობი მოძღვრება — ლენინიზმი. და ეს დიადი მოძღვრება საქართველოს კომუნისტებს. ისევე როგორც საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს ყველა კომუნისტს, უნათებს ისტორიულ გზას კომუნისტური მომავლისაკენ.

არსი „საქართველოს საკითხისა", რომელიც ესოდენ აღელვებდა ლენინს მისი სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში, ის იყო, რომ საქართველოში მარქსისტულად გადაეჭრათ ეროვნული საკითხი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხი. და ეს საკითხი ლენინურად ბრძნულად გადაჭრა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ.

დღეს, ჩვენ, საქართველოს კომუნისტები, კომუნისტების იმ თაობათა მემკვიდრენი, რომლებსაც ლენინი მიმართავდა თავის უკანასკნელ დოკუმენტში, ეუბნებიან მარადიულ ცოცხალ ლენინს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ხალხთა მეგობრობისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიადი ლენინური იდეებით გამსჭვალული საბჭოთა საქართველოს მშრომელნი დიდი ლენინის სახელით საგმირო საქმეებს სჩადიან ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. კაცობრიობის ისტორიაში არნახული ხალხთა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველოს მშრომელებმა, ჯერ კიდევ დიდი ბელადის სიცოცხლეშივე აღმართეს ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში ლენინის პირველი მონუმენტი. საბჭოთა საქართველოს ყველა მცხოვრები კანონიერად ვამაყობთ ამ ისტორიული თაქტით. მას შემდეგ კიდევ უფრო დამშვენდა და გალამაზდა საქართველოს მიწაწყალი.

ნუ მიწყენენ ფუნჯისა და საჭრისის ჩვენი ოსტატები, მაგრამ დიდი ლენინის არც ერთი სახე, რომლებიც მათ აღბეჭდეს ტილოზე თუ გამოკვეთეს მარმარილოში, ვერ შეედრება ლენინის იმ სახეს, რომელიც ხალხის გულმა შექმნა, ლენინის ძეგლს, რომელიც საბჭოთა მშრომელების გულშია აღმართული.

ლენინი უკვდავია საქართველოში, რადგან იგი ჩვენი ხალხის გულში ცოცხლობს. ხალხის უკვდავება კი კომუნიზმია.

კომუნიზმი და მშვიდობა ერთმანეთისაგან განუყოფელი ცნებებია.

ჩვენ ვიცით, რაოდენ ტიტანურ შრომად ღირთ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მშვიდობიანი, მოწმენდილი ცა, რომელიც ჩვენ დაგვყურებს.

საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობასა და მშვიდობის განმტკიცებაში ჩვენი პარტიის და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თვალსაჩინო დამსახურების ახალი აღიარება იყო მისთვის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის მაღალი წოდების მინიჭება. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვთხოვთ ამხანაგ ანდრია პავლეს-ძე კირილენკოს რესპუბლიკის ყველა მშრომელთა სახელით მხურვალედ და გულითადად მიულოცოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის საპატიო წოდების მინიჭება.

საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაუცხრომელი ტიტანური ბრძოლა ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის, ერთა სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის მრავალგზის ღირსეულად აღნიშნულა.

მაგრამ ამხანაგებო, ყველაზე დიდი ჯილდოა ხალხის სიყვარული და აღიარება!

ეს ყველა ჯილდოზე უმაღლესი ჯილდოა.

ამ უმაღლეს ჯილდოს — თავიანთ სიყვარულს, პატივისცემასა და ერთგულებას უძღვნიან ქართველი ხალხი და საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელნი ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს იმისათვის, რომ ლენინური კურსით მიუძღვებიან ჩვენს ქვეყანას კომუნიზმისაკენ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევში ჰარმონიულად არის შერწყმული ლენინური ტიპის რევოლუციონერის საუკეთესო თვისებები — მაღალი კლასობრიობა, პარტიულობა, სიბრძნე, სიმტკიცე, გულადობა, გამჭრიახობა და დიდსულოვანი ადამიანის ლენინური გულის სითბო. რომელიც ერთნაირად ათბობს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს. სითბო დიდი ადამიანის გულისა. რომელსაც ერთნაირად აწყობს ყველა მოძმე რესპუბლიკის ბედი. ყველა საბჭოთა მშრომელისა და დედამიწის ყოველი ნების ადამიანების ბედი.

პარტიამ შექმნა ისეთი ატომსფერო, როცა ყველა პირობა არსებობს. რათა წარმატებით გამოიჭედოს ახალი საბჭოური ხასიათი. ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ. როცა მატერიალური და სულიერი ფაქტორების სწორი, ჰარმონიული შეხამება სულ უფრო გაიამწყვეტ როლს ასრულებს ახალი ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ჩვენი თანამედროვე განსაკუთრებული ყაიდის. განსაკუთრებული ფსიქოლოგიის ადამიანია. იგი სულ უფრო მეტს ფიქრობს იმაზე, რომ კეთილი საქმით წარუშლელი კვალი დატოვოს დედამიწაზე. მას სულ უფრო მეტად ანაზრებს თავისი პიროვნების სოციალური მნიშვნელობა, რომლის შეფასების კრიტერიუმი მის შიგნიბაში ყოველდღეურად სულ უფრო შორდება ისეთ ჯატიგორიებს, როგორიც არის „სქელი ჯიბე" ან მხოლოდ პირადი კეთილდღეობა. მისი კრიტერიუმი ხდება სულ უფრო თანამედროვე, სულ უფრო იდეალური კომუნისტური საზოგადოების ადამიანის იდეალებისა.

პარტიამ შექმნა ისეთი ატმოსფერო, როცა ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ყოველი მეხოვრებისათვის შრომა შინაგანი მოთხოვნილება ხდება, როცა რესპუბლიკის ყოველი მშრომელი დარწმუნებულია, რომ მისი გარჯა მთელი საბჭოთა ხალხის ალმშენებლობითი შრომის აუცილებელი ნაწილია.

პარტიამ შექმნა ისეთი ატმოსფერო, როცა დიდი ადამიანური სითბო, სიყვარული, ნდობა, პასუხისმგებლობა ოა მომთხოვნელობა. მასების საბრძოლო განწყობილება ყოველთვის ბრძნულად და ორგანულად იხამება მეცნიერულ, კლასობრივ მიდგომას მოვლენებისადმი. როცა საქმე ეხება მუშათა კლასის ინტერესებს, მთელი მშრომელი ხალხის ინტერესებს.

პარტიამ, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ყველა პირობა შექმნის იმისათვის, რომ უკომპრომისოდ და შეურიგებლად ვებრძოლოთ ყველა სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს, გადახრებსა და ტენდენციებს, რომლებიც ხელს გვიშლიან დასახული მიზნისაკენ წარმატებულ წინსვლაში. ჩვენ განსაკუთრებით ვგრძნობთ ამას. როცა ჩვენი რესპუბლიკის პირობებში ვიბრძვით მსგავს ნეგატიურ ტენდენციებს. სწორედ ამ ატმოსფეროში გახდა შესაძლებელი, რომ ყოველი ჩვენგანი, როგორც მოქალაქე და შემოქმედი, როგორც მოაზროვნე და მშრომელი, გრძნობდეს თავს სრულთასოვან მებრძოლად ახალი საზოგადოების მშენებლობა მსოფლიოში არნახული დიადი არმიის. ახალი სამყაროს შემქმნელთა არმიის უძლეველ რიგებში.

ჩვენ რთულ დროში ვცხოვრობთ. საუკუნის ცხარე ბრძოლებში, იდეოლოგიური შერკინების ბარიკადებზე ხელჩართულ შეტაკებებში. „ცივი ომის" ფრონტებზე მოგვიპოვა პარტიამ ჩვენ. საბჭოთა ადამიანებს ხალხთა მეგობრობის მარადიული ლენინური მზე და მშვიდობიანი უღრუბლო ცა.

დაძაბულობის შენელება, რომელიც მსოფლიოში დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში ამ ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული ვიზიტების შემდეგ. საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობიანი შეტევის წარმატება, არათუ არ გამორიცხავს იდეათა ბრძოლას, არამედ, პირიქით, ჩვენი იდეოლოგიური შეტევის გაძლიერებას გულისხმობს.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მტერსაც არ სძინავს.

იმპერიალისტური პროპაგანდის საზღვარგარეთული ცენტრები გაცხოველებით აშუქებენ საბჭოთა საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებას. ამ ცხოვრებას ისინი მრუდე სარკეში ხედავენ. მათ არ ეპიტნავებათ ჩვენი მეგობრობა სსრ კავშირის ხალხებთან.

ხალხთა მეგობრობის ორდენით რესპუბლიკის დაჯილდოება მათ უკვე უკეთესად განმარტეს. როგორც ჩანს, დღევანდელი ზეიმი ასევე გააცოფებს და ააყმუვლებს მათს ხროვას.

ეს გასაგებიც არის, რადგან საზღვარგარეთის იმპერიალისტურ პროპაგანდისტულ ცენტრებში მოკალათებული არიან ხალხის ყველა ჯურის მტრები, ცილისმწამებლები, რომლებიც ყველაზე მდარე ანტისაბჭოურობაზე არიან „დახელოვნებული".

მაგრამ, როგორც იტყვიან, ძალღი ყეფს, ქარავანი თავისი გზით მიდის.

რამდენიც უნდა გაიჭაჭონ და იყვირონ ხმის ჩახლეჩამდე და გონების დაბნელებამდე ყველა ამ სახეროვებმა, სოლჟენიცინებმა, ჩალიძეებმა, ინვირებმა და ძმანმა მათმა, ბურჟუაზიული ცხოვრების წესის აპოლოგეტებმა და ჩვენი საზოგადოების ყველა ჯურის ანტიპოდებმა! რაც უნდა თქვან. სიმართლე ჩვენს მხარეზეა! ჩვენ ლენინური სიმართლით ვცხოვრობდით და ვიმარჯვებდით. ამას ეყრდნობოდა და ეყრდნობა მთელი რუსეთი. მთელი საქართველო. მთელი საბჭოთა ქვეყანა! ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მოგვწონს ეს ატმოსფერო და ეს სიმართლე. იგი ძვირთასია ჩვენთვის, ვინაიდან ჭეშმარიტია და მოპოვებულია ახალი სამყაროსათვის, კომუნიზმისათვის ბილიონობით მებრძოლის სისხლისა და სიცოცხლის ფასად. და არავის არ მივცემთ უფლებას შეგვლალოს ჩვენი ხალხის დასაფაცარი სიწმინდე.

რა თავისუფლებაზე ლაყბობთ თქვენ, ბატონებო?

თქვენ, ბურჟუაზიულ თავისუფლებათა ლაქიებე ვერასოდეს ვერ გაიგებთ ჭეშმარიტი თავისუფლების ყადრს. ქვეშმრომად დაბადებულს ფრენა არ ძალუძს!

თქვენი თავისუფლება — ეს არის ძარცვა-გლეჯის, ხოცვა-ჟლეტის თავისუფლება, გადაწვა-გადაბუგვის და დათრგუნვის თავისუფლება. დამონებისა და განადგურების თავისუფლებაა...

ეს თქვენ სულ ცოტა ხნის წინ, როგორც აქ სავსებით სწორად თქვა ანდრია პავლეს-ძე კირილენკომ, დაამტკიცეთ კიდევ ერთხელ ჩილეში სისხლიანი თაშისტური პუტჩით. ეი სად გამოჩნდა თქვენი თავისუფლებისა და დემოკრატიის მხეცური სახე.

ჩვენ ასეთი თავისუფლების წინააღმდეგ ვართ!

ჩვენთვის თავისუფლება არის არა განყენებული აბსტრაქცია და არა ანარქია. არა თავდავიწყებამდე ლაყბობა ყველაფერზე და არაფერზე. არამედ ადამიანთა ცივილიზაციის, ადამიანის ინტელექტის დიადი მონაპოვარი.

ჩვენთვის თავისუფლება — ეს არის შეცნობილი აუცილებლობა. ასე ისმოდა იგი მარქსს, ასე გვესმის იგი ჩვენც, XX საუკუნის 70-იანი წლების მარქსისტ-ლენინელებს. კომუნისტებს. ჩვენში თავისუფლება კომუნისტურია. ჩვენში ყველა ხალხსა და ერს აქვს სრული თავისუფლება, მეგობრობს. ძმობის, ურთიერთდახმარების ურთიერთმხარდაჭერის სრული თავისუფლება.

ჩვენ ამაყად ვამბობთ: გაუმარჯოს ასეთ თავისუფლებას!

მოგწონთ თუ არა თქვენ, ბატონებო, ეს ჩვენი პრინციპია, და კარგად მოგეხსენებათ, თუ რა თავდადებით შეუძლიათ კომუნისტებს იბრძოლონ თავიანთი ცხოვრების პრინციპებისა და იდეალებისათვის.

მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენი თავისუფალი ცხოვრებისათვის, სრული თავისუფლებისათვის ვიშრომოთ, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ ლენინის სახელით. ისტორიაში ყველაზე თავისუფალი საზოგადოების — კომუნიზმის აშენების საკეთილდღეოდ.

ყველა თავისუფლებიდან ჩვენ განსაკუთრებით ვიფასებთ ძმობის თავისუფლებას ყველა ხალხთან, უწინარეს ყოვლისა რუს ხალხთან. შეგობრობის თავისუფლებას.

რატომ არის, რომ ჩვენ, ქართველი კომუნისტები, ასე ვესწრაფვით ძმობას რუსეთთან, დიდ რუს ხალხთან?

საღად მოაზროვნე ადამიანებისათვის ეს ბუნებრივი და სავსებით ლოგიკურია.

იმან, ვისაც თუნდაც ერთხელ გადაუფურცლავს საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის დიადი მრავალსაუკუნოვანი მატიანე, იცის, რომ ქართველი ხალხი, თუ არ დაკარგავს მადლიერების გრძნობას, — ისეთი რამ

(დასასრული მე-5 გვ.).

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

(დასასრული)

...ეი არასოდეს არ მოხდება — მუდამ მადლიერი იქნება რუსეთისა, რომელმაც იხსნა ერი ფიზიკური და სულიერი განადგურების რეალური საფრთხისაგან.

რუსეთ-საქართველოს მეგობრობა გაცისკროვნებულია ბრწყინვალე სახელების, რუსი და ქართველი ხალხების ღირსეული შვილების მთელი თანავარსკვლავედით, რომლებიც ესოდენ გულთბილად მოიხსენია აქ ამხ. ა. ჰ. კირილენკომ.

რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მატიანის ოქროს ფურცლები მარად უჭკნობი იქნება.

ამ მატიანეში განსაკუთრებული სიამაყით ვკითხულობთ ამიერკავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის რევოლუციონერთა სახელებს.

ჩვენთვის, ქართველებისათვის ისტორიულად ყოველთვის ჰქონდა დაუძლეველი, მომაჯადოებელი და მიმზიდველი ძალა რუსული გულის სიბრძნისა და სამართლიანობას, რუსული ხასიათის დიდსულოვნებას, მასშტაბურობას, სიმტკიცესა და ურყევობას, რუსული ბუნების სიმახვილესა და სიღრმეს, რუსი კაცის ბუნებისათვის დამახასიათებელ თანდაყოლილ სამართლიანობას, სიკეთესა და თავისუფლებისმოყვარეობას, ბოროტებისადმი სიძულვილს, რუსული ფსიქოლოგიის სითამაქეზესა და გულითადობას, რუსული სულის ფილამაზეს.

ახლა კი, როცა ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე სულ უფრო მტკიცდება ხალხთა ლენინური მეგობრობის ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური საძირკველი. ჩვენ სულ უფრო მეტად ვამაყობთ ჩვენი ძმითა და მეგობრით — დიდი რუსი ხალხით. რომელიც განასახიერებს ყველა საუკეთესო თვისებას, რაც კი საერთოდ შეიძლება გააჩნდეს ხალხს.

ჩვენთან კავკასიაში ამბობენ: როცა კაცს ეკარგა, მეგობარი ან ძმა ჰყავს, ბედნიერია. ჩვენ ბედნიერი ვართ და ვამაყობთ იმით, რომ ესოდენ ბევრი ერთგული მეგობარი და ძმა გვყავს: რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ყაზახები, უზბეკები და აზერბაიჯანელები, ლიტველები და ლატვიელები, ესტონელები და ტაჯიკები, სომხები და ყირგიზები, მოლდაველები და თურქმენები, ასზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. ვერ მოთვლი ჩვენს მეგობრებსა და ძმებს როგორც სსრ კავშირში, ისე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებშიც და მთელ მსოფლიოშიც. ჩვენ ვამაყობთ და ბედნიერი ვართ ამით.

ჩვენ გვინდა საბჭოთა საქართველო გადავაქციოთ კიდევ უფრო მაღალგანვითარებულ და მაღალკულტურულ რესპუბლიკად, რომ იგი კვლავაც ღირსეულად ამშვენებდეს საბჭოეთის მომძე რესპუბლიკათა უჭკნობ თანავარსკვლავედს!

ჩვენი საბრძოლო დევიზია: გადავაქციოთ საბჭოთა საქართველო სანიმუშო კომუნისტურ რესპუბლიკად! და ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომპარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი, სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით, ღირსეულად გაართმევს თავს ამ ისტორიულ ამოცანას!

ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხების მეგობრობა კაცობრიობის ისტორიაში ახალი ტიპის მეგობრობაა. იგი ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის გრანიტის საძირკველს, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. მხოლოდ ასეთი მეგობრობის საფუძველზე შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, ხალხი — გიგანტი, ხალხი — დეკემბერი. და არ არსებობს ამქვეყნად უფრო მეტი ბედნიერება, ვიდრე ეკუთვნოდე ამ ხალხს. მხოლოდ ამგვარი მეგობრობის მყარ საძირკველზე შეიძლებოდა წარმოშობილიყო ისეთი პოლიტიკური და სოციალური გრძნობა, რომელიც არის საბჭოთა ადამიანის ეროვნული სიამაყე.

ამის მსგავსი არაფერი ახსოვს მსოფლიო ისტორიას, კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიას.

ვიღებთ რა ხალხთა მეგობრობის ორდენს, ჩვენ, საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი, რომელნიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ 80-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლებს, განვიცდით არა მარტო უდიდეს სიხარულს, არამედ ვგრძნობთ უდიდეს პასუხისმგებლობასაც სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების ბედისათვის.

საქართველოს კომპარტიას ესმის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განვითარების დიალექტიკის ღრმა აზრი და ცდილობს ყველაფერი ღონეს. რათა დღითიდღე სულ უფრო მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს იგი.

თავისუფალი და ადორძინებული საბჭოთა საქართველო დღეს მთლიანად კომუნიზმის ახალმშენებლობათა ხარაჩოებია. აღმშენებლობის ჰეროიკის ჰიმნად, ძველის მსხვრევისა და ახლის დაბადების ჰიმნად გაისმის ვლადიმერ მაიაკოვსკის სიტყვები საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსიდან:

აშენე,
  იმ ძველის
    დანგრევაც მოასწრე,
  და ახალ სართულებს
      ჩაუდექ დარაჯად!
  ყაზბეგიც
    რომ საქმეს
      გიშლიდეს —
        მოაძრე,
  რა უშავს —
      ნისლებში მაინც
        ხომ არა ჩანს!

ასეთია ეპოქის დევიზი, ასეთია კომუნისტური აღმშენებლობის სულისკვეთება, და ვერავითარი დაბრკოლება ვერ გვაშინებს, ვერაფერი ვერ შეანელებს ჩვენს წინსვლას ცხოვრების მწვერვალებისაკენ, კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

დღეს საქართველოს მიწაწყალზე ყველს ხალხთა მეგობრობის სიმფონია. გაისმის საქართველოს სიმღერები საბჭოების ქვეყნის ყველა ხალხზე. ეს სიმღერა — კომუნიზმის ქუბათა-ქება იშვა ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების გუგუნში, აყვავებული სოციალისტური შინდვრების შრიალში, კომუნიზმის ახალმშენებლობათა ხმაურში...

ამ საზეიმო ჟამს, იღებენ რა ხალხთა მეგობრობის ორდენს, რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია, ლენინური კომკავშირი და პროფკავშირები აღუთქვამენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. რომ მაღლა ატარებენ სამშობლოს ოთხი ორდენით დამშვენებულ რესპუბლიკის დროშას.

ჩვენ ვიცით, რომ ხალხთა მეგობრობის ორდენი, გარკვეულწილად, ავანსია, რომელიც უნდა გავამართლოთ გმირული, თავდადებული შრომით.

ხალხთა მეგობრობის ორდენი გვავალებს განვამტკიცოთ ხალხთა მეგობრობის როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური საძირკველი.

ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ და სრულყოთ რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კომუნისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები არათუ არ ეწინააღმდეგებიან ხალხთა ეროვნულ ინტერესებს, არამედ, პირიქით, ისინი ჰარმონიულად შეავსებენ ერთმანეთს, სწორედ ინტერნაციონალიზმია ყოველი ხალხის ეროვნული ინტერესების გამარჯვების ერთადერთი გარანტია.

ისტორია მოწმობს, რომ ერები, რომლებიც უგულებელყოფენ ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, იკეტებიან ეროვნულ ნაჭუჭში, ესწრაფვიან შეზღუდულობასა და განცალკევებულობას, ნებაყოფლობით განუმზადებენ თავიანთ თაყს დეგრადაციას, სულიერ და ფიზიკურ გადაშენებას.

ქართველი ხალხის ინტერნაციონალური ბუნება, შრომისმოყვარეობა მისი ახლანდელი და მომავალი წარმატებების გარანტიად მიგვაჩნია.

ამხანაგებო!

ქართველ რევოლუციონერთა პირველმა თაობებმა, რომლებმაც პარტიას მისცეს გმირთა მთელი კოჰორტები, გვიანდერძეს მაღლა ვატაროთ დიადი ლენინური დროშა — საბჭოთა საქართველოს სიმბოლო, კომუნიზმის სიმბოლო:

ჩვენ მაღლა ვატარებთ ამ წმიდათა წმიდა დროშას!

ჩვენ, საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი ამ საზეიმო ჟამს ურღვევი რევოლუციური ფიცის სიტყვებით მივმართავთ ლენინის პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და აღიუთქვამთ მათ, რომ კიდევ უფრო მაღლა აღვმართავთ ილიჩის დიად დროშას.

ჩვენი ხალხის ერთ-ერთი მთავარი ისტორიული მისია ის არის, რომ ახალ, მომავალ თაობებს შეუბღალავი გადასცეს ეს დიადი დროშა, თვალისჩინივით გაუფრთხილდეს მის სიწმინდეს.

ეს ის დიადი დროშაა.ამხანაგებო, რომელიც ჩვენმა ხალხმა უნდა მიიტანოს კომუნიზმის სანუკვარ მწვერვალებამდე. აი რატომ არის იგი ჩვენი ხალხისთვის წმიდათაწმიდა.

დღეს რესპუბლიკის ამ წმიდათაწმიდა დროშას ვხედავთ მომავალ თაობათა ხელში. რომლებსაც მიაქვთ სულ წინ და წინ, ცხოვრების მწვერვალებზე ისტორიული ასვლის გზაზე.

დიდება ამ დროშის ისტორიულ გზას ლეგენდარული 1921 წლის თებერვლიდან კომუნიზმის მწვერვალებისაკენ, კომუნისტური მარადიულობისაკენ!

დიდება იმ ხალხს, რომელ ქართულ ენაში მზის სხივივით შემოვიდა დიადი სიტყვა და დიადი სახელი ლენინი, სიტყვა-მზე — კომუნიზმი, უკვდავი სიტყვები — კომუნისტური პარტია და ოქტომბერი!

დღეს საქართველოში თითქოს მთებიც უფრო მაღალი, ხეობებიც უფრო ფართო, ბუნების ფერები უფრო ელვარე, ადამიანებიც უფრო ლამაზი გახდნენ! მზეც რაღაც განსაკუთრებულად გვიღიმის დღეს.

საბჭოთა ხალხების მეგობრობა რუსთაველის ფოლადზე და კავკასიის გრანიტის ქედებზე უფრო მტკიცეა, შავ ზღვაზე უფრო ღრმაა და საქართველოს თოვლიან მთებზე უმწვერვალესი, კლდეთა გულიდან ამოხეთქილი გამჭვირვალე ნაკადულებზე უფრო სუფთაა, სამხრეთის მზეზე უფრო მცხუნვარეა. ის უსასრულოა, ვით ქართული ცის ლაჟვარდი... იგი ადამიანის ყველაზე მშვენიერ ღირებულებებზე უფრო მშვენიერია.

ჩვენ დედამიწაზე უფრო მეტი მეგობარი გვყავს, ვიდრე ვარსკვლავებია ცაზე, აი რატომ უწოდებენ ჩვენს ქვეყანას ხალხთა მეგობრობის თანავარსკვლავედს.

დღეს, მეცხრე ხუთწლედის 1009-ე დღეს, საქართველოს მიწა-წყალზე სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის დიდი დღესასწაულია.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს აღუთქვამენ, რომ ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველო მარად ურყევად იდგება როგორც ხალხთა ლენინური მეგობრობის ერთ-ერთი საიმედო ფორპოსტი და უძლეველი ბასტიონი.

გაუმარჯოს ოთხგზის ორდენოსან საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — მშვიდობის, დემოკრატიისა და კომუნიზმის მეფეროშეს!

დიდება ჩვენს მშობლიურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

ძმობის დროშით

(დასასრული).

— შარშან, — თქვა გ. ს. ძოწენიძემ, — ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხებმა იზეიმეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის — მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის 50 წლისთავი, სახელმწიფოში, სადაც თავისუფალი და თანასწორი ხალხები ერთმანეთან ძმურად და წარმატებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით დაწესდა ხალხთა მეგობრობის ორდენი. ამ ორდენით დაჯილდოვდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, ავტონომიური რესპუბლიკა და ოლქები, რომელმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ... ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებაში. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში. ხალხთა მეგობრობის ორდენის დაწესება კიდევ ერთი გამოვლინებაა ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, რომლის პირმშოა საბჭოთა კავშირი — ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ნიშანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არათუ განამტკიცებს ამ მეგობრობას, არამედ იღვწის, რომ მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის განმტკიცება გახდეს ყველა ქვეყნის პოლიტიკის საფუძველი. ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მისმა პოლიტბიურომ სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს ამ მიმართულებით, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინდოეთის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ეგვიპტეს, რომლებსაც მთელი მსოფლიოს ხალხები შეხვდნენ როგორც ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენებს.

ქართველი ხალხი, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი დიდი სიხარულით შეხვდნენ საქართველოს სს რესპუბლიკის დაჯილდოებას ხალხთა მეგობრობის ორდენით. დღეს ჩვენში ქვეყნ დიდი ზეიმია. ხალხთა მეგობრობის ორდენს, გადმოსცემენ ჩვენთან ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ანდრია პავლეს-ძე კირილენკო.

საქართველოს მშრომელნი მოგესალმებიან თქვენ, ძვირფასო ანდრია პავლეს-ძე, გისურვებენ განმრთელობასა და ახალ წარმატებებს თქვენს დიდ მოღვაწეობაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ნება მიბძანეთ, ამხანაგებო, რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გვირთიანებული სხდომა გახსნილად გამოვაცხადო.

დარბაზის თაღებქვეშ დიდებულად ღელავს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

გაისმის მარშის ხმა, მჭეხარე ტაში, და სოციალისტური შრომის გმირს, თბილისის ლენინის სახელობის ელექტროსამშენებლო ქარხნის ზეინკალს ვ. ა. პაპანაშვილს, სოციალისტური შრომის გმირს, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მემოდელეს ვ. ვ. ბოროდავკას შემოაქვთ საქართველოს სიმაღლეზე სოციალისტური რესპუბლიკის დროშა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ფაბრიკა-ქარხნების, დარბაზში ქოხტაში, რომელიც ოდესღაც იქნებოდა, ფასიანი შეძახილები მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს საფიქიბლოდ.

სამშობლოს მაღალ ჯილდოს იღებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჭავახიშვილი, სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის ლენინის სახელობის ელექტროსამშენებლო ქარხნის ზეინკალი ვ. ა. პაპანაშვილი, ორგანოს, სოციალისტური შრომის გმირი, ზოგადიდის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მიჩაითა. ბერიკაძის ხელმძღვანელი თ. ა. ყუფუნია. ლენინური პრემიის ლაურეატი. სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. ნ. ვეკუა, ამიერკავკასიის წითელროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ბ. ვ. მელნიკოვი.

სამპატიო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ქართველი ხალხის შრომისა და კომუნისტურ მშენებლობაში ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში მისი წვლილის მაღალი შეფასებისათვის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას გულითადი მადლიერების სიტყვებით მიმართეს: რესპუბლიკის მუშათა კლასის სახელით — თბილისის დიმიტროვის სახელობის სადაბეიანო ქარხნის ამწყობმა ზეინკალმა. სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ა. ასათიანმა, კოლმეურნე გლეხობის სახელით — ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობის, მექანიზატორმა ვ. გ. მეუნარგიამ, ინტელიგენციის სახელით — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. დ. კუპრაძემ, პედაგოგიური საზოგადოებრიობის სახელით — თბილისის 153-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. ვ. კულიკოვამ.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. წერილი წაიკითხა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გ. გელაშვილმა.

თითქოს გალფურჩქვნილ ბაღს ემსგავსება დარბაზი. ყველა გასასვლელს, იარუსებს ავსებენ ოქტომბრელები, პიონერები, კომკავშირელები, მეომრები — ჩვენი სახელოვანი ხალისიანი ახალგაზრდობა. უფროსი თაობის ღირსეული ცვლა. ბევრი მათგანი გამოწყობილია სსრ კავშირის ხალხთა ეროვნულ კოსტიუმებში. ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ხელში უჭირავთ ყვავილები, ტრანსპარანტები, პლაკატები, რომლებზეც მსოფლიოს ხალხთა ენებზე წარწერილია სტიკერები: „მშვიდობა“, „შრომა“, „მეგობრობა“. ლოქსებითა და სამღერებით ისინი ადიდებენ სამშობლოს, პარტიას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანობასა და ლენინურ მეგობრობას.

დარბაზში აფრიალდა თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ალმები, რომლებიც განასახიერებენ საბჭოთა სოციალისტური ერების ერთიანობას უზარმაზარ ტილოზე გამოჩნდა ხალხთა მეგობრობის ორდენის გამოსახულება.

სხდომის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გვირთიანებულ საზეიმო სხდომას დახურულად აცხადებს.

დარბაზში გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი დიადი სამშობლოს, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის, სსრ კავშირის ხალხთა ერდგული მეგობრობის საფუძველზე, „გაუმარჯოს!“, „ურა“, სხდომის მონაწილენი ერთხმად გაძახიან: „ჩვენს პარტიას — დიდება!“, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — დიდება!“, „მეგობრობას!“. ყველანი ფეხზე დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს“.

საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემა გადაიქცა პარტიისა და ხალხის ერთიანობის, საბჭოთა ადამიანების მაღალი პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მკაფიო დემონსტრაციად. (სანქინფორმის კორ.).

ამხანაგ ვ. ა. ასათიანის სიტყვა

(თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობი ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი)

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა საქართველოს მშრომელები აღმაფრთოვანებულ მოგილოცავთ ბედნიერ დღეს.

დღეს რესპუბლიკის დიდებით მოსილ დროშაზე აკიაფდა სამშობლოს კიდევ ერთი ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი.

ჩვენ, მუშებს, ეს ჯილდო მიგვაჩნია საქართველოს მშრომელთა ოფიციალური შრომის მაღალ შეფასებად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი მთავრობის პოლიტიკური კურსის აღიარებად და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიდი ძმობის სიმბოლოდ.

ჩვენთვის, ავიამშენებლებისათვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ჩვენს რესპუბლიკას ჯილდო-ალი მოცალეთ თქვენ, ამხანაგო **ანდრია პაველის-ძე კირილენკო.** ჩვენმა ოლქკომმა, ავიაციის ინჟინერმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა. ჩვენ ნონ ლენინური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა, ჩვენი დიდი სამშობლოს ერთგულმა შვილმა.

საქართველოს მუშათა კლასის სახელით ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა გადავუხადო ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე **ბრეჟნევს,** იმ დიდი ზრუნვისათვის, რომელსაც ისინი ეჩენენ ჩვენი ნრავალეროვანი სახელმწიფოს თვითეული რესპუბლიკისათვის.

ეს კიდევ უფრო ადუღებს ყველა ხალხის მეგობრობას. საბჭოთა ძალისა და წარმატებების საფუძველს. ამ მეგობრობის საძირკველი ჩაეყარა 1917 წლის ოქტომბრის განთიადმა. როცა მუშათა კლასის მოწინავე რაზმის — რუსეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობით სახალხო ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ საქართველოს რევოლუციონერ ლენინელთა საუკეთესო წარმომადგენლები.

ერთა დიადი თანამეგობრობისათვის მკაცრი გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი.

ჩვენ, ავიამშენებლებს, განსაკუთრებით გვახსოვს ის საგანგაშო დღეები.

მრისხანე ორმოცდაერთში თბილისის მიწაზე ტანგროგელებთან ერთად მუშები იგებდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კორპუსებს. ფაშისტებთან ომის მთელ პერიოდში, ქარხნის პარტიის მიერ აღებული კურსის შედეგებს ყოველ დღე ეგრძნობთ: გაუმჯობესდა ბოსტნეულითა და ხილით ვაჭრობა, უფრო ორგანიზებულად მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო და საზოგადოებრივი კვების სისტემა, მომავალდა ახალმშენებლობათა ხარჯობები, ყოველივე ეს ადამიანებს თვითეული მუშაობა კოლექტივის შრომითს სტილისკვეთებას, განწყობილებას.

დიდი მუშური სიამაყის გრძნობას განვიცდით იმისათვის, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მეცადინეობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ასე დიდად დაფასა ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ.

ეს მაღალი ჯილდო ბევრსაც გვავალებს. მრეწველობის მოშაკების, სოფლის მეურნეობის მშრომელების წინაშე ჯერ კიდევ დგას დიდი გადაუჭრელი ამოცანები.

ჩვენ დავიწყეთ ხუთწლედის მეორე ნახევარი, რაც ჩვენგან მოითხოვს ძალების ახალ დაძაბვას, უნარსა და ენერგიას მიეცხრე ხუთწლედის დაძაბულ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენ შევძლებთ ამ ამოცანების შესრულებას. ჩვენნი სამშობლო რომ უფრო ძლიერი გავხადოთ, რომ ავამაღლოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის დონე, საზეიმოდ პირობას ვდებთ: ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ ლენინურად, კომუნისტურად.

ამის საწინდარია ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, საბჭოთა მთავრობის კეთილშობილური მეცადინეობა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ლეონიდ ილიას-ძე **ბრეჟნევის** მრავალმხრივი მოღვაწეობა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

აღგითქვამთ თქვენ. პატივცემულო ანდრია პაველის-ძე. და. გთხოვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებსა და პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე **ბრეჟნევს** გადასცეთ, რომ საბჭოთა ხალხის რევოლუციური და შრომითი ტრადიციების ერთგული საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ დაიჭაზვებიან ჩვენი ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მთელ თავიანთ მეცადინეობას მოახმარენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას. (ტაში).

ამხანაგ ვ. გ. მეუნარგიას სიტყვა

(ზუგდიდის რაიონის ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი)

ამხანაგებო!

ჩვენ საზეიმო კრების მონაწილენი, დიდი მადლიერებით ვიღებთ დღეს ხალხთა მეგობრობის ორდენს და დიდი სიყვარულისა და მადლიერების სიტყვებით მივმართავთ ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას ჩვენი დიდი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაში უდიდესი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

ნათლად გვიქვს შეგნებული, რომ ჩვენი რესპუბლიკის შესანიშნავი მიღწევები წარმოუდგენელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების შშრომელთა ძმური მეგობრობის, მათი საერთო მეცადინეობის გარეშე.

ჩვენი ზეიმი მიმდინარეობს ლენინსულსანშენიშნავ დროს, როცა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალი დიდი წარმატებანი მოიპოვა საშინაო და საერთაშორისო ცხოვრებაში, აქტიურად ზრუნიელდება სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამა, წარმატებით სრულდება ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების გეგმები.

ნება მიბძანეთ ზუგდიდის რაიონის მშრომელთა სახელით მოგესალმოთ და მოგილოცოთ აქ დამსწრეთ და მთელ ქართველ ხალხს მთავრობის მაღალი ჯილდო და მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას ჩვენი შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

ამხანაგებო! ზუგდიდის რაიონის მშრომელები და მათთან ერთად ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეები, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებს, დაძაბულ ბრძოლას ეწევიან მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა შესრულებისათვის.

წელს ამინდმა ხელი არ შეუწყო ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებს. სტიქიის ჭირვეულობას მათ დაუპირისპირეს მაღალი ორგანიზებულობა, მტკიცე დისციპლინა, ამხანაგური ურთიერთდახმარება. სწორედ ამის შედეგად მიეაღწიეთ სერიოზულ წარმატებას — წელს მოვკრიფეთ და გადასამუშავებლად ჩავაბარეთ 37 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შევასრულეთ გადიდებული ვალდებულებანი.

ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვეტა მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელს სახელმწიფოს მიჰყიდოს 3.240 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმაზე 480 ტონით მეტი, ხოლო ხუთწლიანი გეგმა შესრულოს ოთხ წელიწადში.

ამ ძნელი ამოცანის შესასრულებლად დავრაზმეთ მთელი ძალები და შესაძლებლობანი, დავამყარეთ მკაცრი საწარმოო და შრომის დისციპლინა, ავამოქმედეთ შინაგანი რეზერვები, მაქსიმალურად გამოვიყენეთ კომპლექსური მექანიზაცია, მთელ ამ მუშაობას ხელმძღვანელობდა და წარმართავდა საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 103 კომუნისტს.

ჩვენი კომუნისტები გულმოდგინედ და თავდადებით იბრძოდნენ თვითეულ უბანზე. რგოლში, თვითეულ ბრიგადაში, ყველგან სადაც წყიფიდა მიმდინარე წლის გეგმების ბედი. ამ დაუღალავმა შრომამ, ამ შემოქმედებითმა ძიებამ საშუალება მოგვცეს დაგვეძლია სიძნელეები და მიგვეღწია წარმატებებისათვის.

შრომის ნაყოფიერების ახალი მიჯნების მიღწევაში ჩვენი მეჩაიეებისათვის მძლავრი სტიმული გახდა საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. სწორედ შრომითი მეტოქეობა დაეხმარა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს მოეკრიფა და სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა 3.450 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს 210 ტონით მეტია ნაკისრ ვალდებულებაზე და 690 ტონით აღემატება წლიურ გეგმას.

ამხანაგებო! ჩვენი ინგირის საბჭოთა მეურნეობა განთქმულია მექანიზაციის მაღალი დონით. მანქანა „საქართველოთი“ ახლა ჩაის კრეფენ ყველა მისადგომ ნაკვეთზე. ჩაის საკრეფი მანქანები ჰლანტაციებში პირველად გამოვიდნენ სწორედ აქ, ინგირში, აქ „ასწავლიდნენ“ მათ ჩაის კრეფას, აუმჯობესებდნენ მათს კონსტრუქციას. და, რა თქმა უნდა, მათთან ერთად ვსწავლობდით, ოსტატობას ვიმაღლებდით ჩვენც, „საქართველოს“ მძღოლები.

ჯერ კიდევ ალოობის დაწყებამდე რესპუბლიკურ თათბირზე მეჩაიეობის შესახებ ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად გავზარდოთ ჩაის ფოთლის კრეფის მოცულობა ტექნიკის დახმარებით. ჩვენი საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები სისტემატურად ამაღლებენ მანქანების მწარმოებლობას, ზრდიან პლანტაციების ჰექტარობრივ მოსავლიანობას, აუმჯობესებენ მოკრეფილი ფოთლის ხარისხს.

მიმდინარე სეზონში ჩვენმა მექანიზატორებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 2.600 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. კომპლექსურ-მექანიზებულმა რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, მოკრიფა 180 ტონა ჩაი, მე და ჩემმა მეფუფილემ კარლო ჭობალიამ მანქანა „საქართველ

ამხანაგ ვ. დ. კუპრაძის სიტყვა

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი)

ძვირფასო ამხანაგებო! დაუვიწყარ წუთებს განვიცდით ჩვენ დღეს, როცა ვესწრებთ ახალი კაშკაშა ვარსკვლავის, ხალხთა მეგობრობის ორდენის, საზეიმო ამობრწყინებას ჩვენი რესპუბლიკის დროშაზე.

პარტიის ბრძნული გადაწყვეტილება ამ ორდენით ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ერთდროულად დაჯილდოვების შესახებ ღრმა აზრით არის აღსავსე. ეს აქტი არა მარტო ღირსეულად აგვირგვინებს შრომასა და საგმირო საქმეებს, რომლებიც ყაზაბრიობის ისტორიაში პირველად ნამდვილ თანასწორუფლებიან საწყისებზე გაერთიანებულმა საბჭოთა ხალხებმა მოახდინეს ყველაზე ამაღლებული ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალებისათვის, არამედ აგრეთვე ჯანსაღთრებული ძალით მეუთითებს მეგობრობისა და ერთმანეთის მხარდაჭერის როლსა და მნიშვნელობას ჩვენი ხალხების ცხოვრებაში მათი ოქტომბრისშემდგომი ისტორიის მთელ სახელოვან გზაზე.

ვინ იცის, იქნებ ეს მეგობრობა, ეს თავდადებული და უანგარო, გულწრფელი ურთიერთმხარდაჭერის გრძნობა და შეგნებაა, ჩვენი უძველესისა მონაპოვარი, რომელმაც შესაძლო გახადა ჩვენი ხალხების სხვა ბევრი საოცარი მიღწევები, რომლებმაც დიდი ხანია გადაალახინეს ჩვენი ძველი ხალხების მრავალი მოწინავე თაობის ოცნებანი და ყველაზე სანუკვარ ოცნებებს.

მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში ყოფილა ქვეყნებისა და ხალხების სხვადასხვა კავშირები და გაერთიანებანი, მათ შორის ეკრეთ წოდებული „ბურჟუაზიულ ერთა თანამეგობრობანი“, რომელთაგან ზოგიერთი ჩვენს თვალწინ ღალავს სულს. რამდენი პოლიტიკური ცინიზმი, ვერაგობა და თვალთმაქცობა გამოავლინეს მათ მსოფლიოს წინაშე! მეტროპოლიათა-კოლონიის, ერთი ერის ანგარებითი ინტერესებისათვის მეორე ერის უსირცხვილო და ულმობელი ექსპლოატაციის პრინციპებზე დაფუძნებული ამ „თანამეგობრობებში“ რამდენი დანაშაულებრივი, ძმათამკვლელი ომები და კონფლიქტები გამოუწვევიათ, რა სასტიკ ტირორსა და ძალადობას მიმართავდნენ ქვეყნებში, რომლებიც ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძვიან, დღევანდელი ოსლატრის ტიპის რამდენი სისხლიანი ტრაგედია დაუტეხია თავს ხალხებისათვის იმპერიალიზმს ჩადაუჭრელი ეროვნული, სოციალურ-პოლიტიკური და ეთიკური პრობლემების ნიადაგზე.

ოქტომბრის რევოლუციამ, ლენინის გენიამ მსოფლიოს მოუტანეს ახალი, მანამდე არნახული და ძველ საზოგადოებაში შეუძლებელი ტიპი ხალხთა თანამეგობრობისა, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ჰქვია. სწორედ ეს კავშირი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მისი ხალხების საერთო შრომა და გმირობა გახდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკური აყვავების მძლავრი და უხვი წყარო. სწორედ იგი, ეს კავშირი, რომელსაც საფუძველად უდევს ნამდვილი მეგობრობა და თანასწორუფლებიანობა, კომუნისტური პარტიის ნებით, გახდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავი ნაყოფი, გაიყვანა ჩვენი ხალხები, ყველა-დიდი და პატარა ხალხები დღევანდელი განვითარების ნათელ გზაზე, ისინიც, ვისაც ოდესღაც ჰქონდა თავისი სახელმწიფოებრობა და ამ დროისთვის განვითარებული კულტურა, მაგრამ უკუღმართმა ისტორიულმა ბედმა ფერფლად და ნანარეკალად აქცია, და ისინიც, ვინც მხოლოდ დღეს მიიღო ყველაფერი — ანბანით დაწყებული და ავადმყოფობით დამთავრებული; გაიერთიანა მათი ძალები, აზრები და მისწრაფებანი, აღორძინა საკუთნოვანი ოცნებანი. ავიღო ისინი ახალი ლენინური შინაარსით; საფუძველად დაუდო მათ ცხოვრებას ყველაზე სრულყოფილი პოლიტიკური სისტემა, შთაბეჭდა შრომა, საგმირო საქმენი, შეიარაღა მატერიალური და სულიერი იარაღების თანამედროვე საშუალებებითა და მეთოდებით და ძმური მეგობრობისა და ერთნაწილთის მხარდაჭერის, ერთიანი ოჯახის მშვენიერი ჰარმონიით წარმართა ყველანი პროგრესისა და ბედნიერების საერთო გზით.

ჩაცარი, ძნელი განსაცდელი გამოიარა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა, სანამ დღევანდელი სიდიადის მწვერვალებს მიაღწევდა. ჯერ ისევ გვახსოვს ფაშისტთა ღვარძლიანი წინასწარმეტყველება, რომლებიც გარდაუვალ დაღუპვას უქადდნენ საბჭოთა სახელმწიფოს თითქოსდა იმ მიზეზით, რომ მისი ხალხების კავშირი მტიკეცი და სთიდეო არ იყო. სინამდვილეში კი, სწორედ ყველა საბჭოთა ადამიანის ურყევი და ურღვევი ერთიანობა და ერთი მიზნის ერთგულება აღმოჩნდა ის ძალა ომებს შორის ოდიდესი ომის ფრონტებზე და ზურგში, რომელმაც კისერი მოატეხინა ფაშისტ მხეცს.

ყოველივე ეს განსაკუთრებით მკაფიოდ და თვალნათლივ მოჩანს დღეს ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთად ცხოვრების, ბრძოლისა და გმირობის მწვერვალებიდან, რომლებსაც ყველა საბჭოთა ხალხმა მიაღწია რუსი ხალხის მეთაურობით.

საბჭოთა ხალხების სიყვარულს, პატივისცემას, ერთგულებას და მადლიერებას რუსი ხალხისადმი, გოლათი ხალხებს — რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ხალხებისადმი, რომლებიც მუდამ თვითონ კისრულობენ საბჭოთა ხალხის ყველა გადამწყვეტ საქმეთა ძირითად სიმძიმეს; სიყვარულს, ერთგულებასა და მადლიერებას გაქკაცობისა და მამაცობისათვის, გონებისა და ნიჭისათვის, რუსული გულუხვობისა და დიდსულოვანი რუსული ხასიათისათვის — ჭეშმარიტად არა აქვს საზღვარი საბჭოთა ადამიანების, ყველა ეროვნების წარმომადგენელთა გულსა და შეგნებაში.

დღეს მსოფლიოში დიდმნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. დაბერა დიდი ხნის ნანატრი მტკიცე მშვიდობის თბილმა სიო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და მისი მთავარი მესაჭის ნებით, გონებითა და გამჭრიახობით ნაყოფიერ ნიადაგში ჩაითესა ადამიანთა, ხალხთა, ქვეყნათა და კონტინენტთა მეგობრობისა და ნდობის სათმედო მარცვალი. მაგრამ იმპერიალიზმი განაგრძობს ბრძოლას. ამის მოწმობენ ჩილის ტრაგიკული ამბები, სადაც მოხდა ანტიკონსტიტუციური გადატრიალება, გათელეს დემოკრატიული უფლებანი, მხეცურად არბევენ და დევნიან პატრიოტებს. მოკლეს პრეზიდენტი ალენდე. რა მზაკვრულ ხრკეებსაც ონდა მიმართავენ ხალხთა მშვიდობისა და პროგრესის მტრები, დაეამბულობის შენელების მტრები, გვწამს, რომ შეუქცევადია დაწყებული ცვლილებანი. ამის თავდებია ევროპელი ნების ადამიანთა უოდიგანო ოკეანე მთელ მსოფლიოში. ამის გარანტია კომუნისტური ნებისყოფა, სოციალისტური ბანაკის ძლიერება და ავტორიტეტი. ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველი ხალხი უღიდეს მადლობას უძღვნის ამბანაგ ბრეჟნევს ფასდაუდებელი შრომისათვის, საკმირო საქმეებისათვის სამშობლოს სიკეთილდღეოდ და ასაყვავებლად, ეკონომიკის სიკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

საქართველოს მეცნიერებს დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების საგანძურში; მათ ეკუთვნით საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების არა ერთი თვალსაჩინო მიღწევა; მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი იღონონ, რათა შეასრულონ პარტიის მითითებანი ნების მეცნიერული ეკლესიის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების შესახებ, თავიანთი წვლილი შემატონ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი მკაფიოდ და შთაგონებით წარმოსახავენ საბჭოთა ადამიანების აღმაფრთოვანებელ მიღწევებს, ეხმარებიან პარტიას ახალი მიჯნებისათვის ბრძოლაში ხალხის ძალების დასარაზმად.

ნება მიბოძეთ რესპუბლიკის მთელი ინტელიგენციის სახელით აღვთქვა პარტიას, რომ მთელ ჩვენს ძალონისა და ცოდნას, მთელ ნიჭსა და შემოქმედებითს შთაგონებას ულტიმატუმ მოვახმართ სამშობლოს სამსახურს, მაღლა ვატარებთ ჩვენი საზოგადოების წმიდათაწმიდა დროშას — ხალხთა მეგობრობის დროშას! (ტაში).

ამხანაგ ვ. ვ. კულიკოვას სიტყვა

(თბილისის 153-ე საშუალო სკოლის დირექტორი)

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩვენ აღმფრთოვანებელ წუთებს განვიცდით! ძნელია სიტყვებით იმ სიხარულის გადმოცემა, რომელთაც აღსავსეა ჩვენი გული, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის გული რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემის დღეს. ეს მთავრობის მეოთხე მაღალი ჯილდოა, რომელიც დაგიმსახურეთ ქართველი და რუსპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის თავდადებული შრომით.

ბევრი ჯილდო აქვს ჩვენს სამშობლოს. ისინი ამშვენებენ მოკაზმულ რესპუბლიკების დროშებს და საბჭოთა კავშირის საუკეთესო შვილების მკერდს. ამ ჯილდოების მიხედვით შეგვიძლია გადავხედოთ ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიას.

ხალხთა მეგობრობის ორდენი გადაცემა — ეს არის სოციალიზმის დიადი ზნეობრივი მონაპოვრის — საბჭოთა ადამიანების ერთიანი ოჯახში, რომელ რესპუბლიკების ერთიან თანამეგობრობაში ჩვენი მონოლითური შეკავშირების პარტიული და სახელმწიფოებრივი შეფასება.

საქართველოსათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემა მარტო ჩვენი თაობის ჯილდოდ როდი მოგვაჩნია.

ეს იმათი დიდებაა, ვინც ბრძოლებისა და პირველი შრომითი გამარჯვებების მრისხანე დღეებში გამოატარა და გადმოგვცა მეგობრობისა და ძმობის დრონა, სამშობლოს ერთგულების დროშა.

ეს იმათი დიდებაა, ვინც სიძნელეებისა და გაჭირვების მიუხედავად ცხოვრობდა ბედნიერებაზე ოცნებით და ამ ოცნებას ხორცი შეასხა.

ეს იმათი დიდებაა, ვინც კომუნიზმის გამარჯვების რწმენით ჩვენს გულში აანთო დიადი მომავლის აღმშენებლობის ცეცხლი.

ჩვენთვის კი ხალხთა მეგობრობის ორდენის გადმოცემა დიდი პასუხისმგებლობაა. ვიღებთ რა სამშობლოს ამ ჯილდოს, პირნათლად გადავცემთ მას მომავალ თაობას.

ჩვენ, საბჭოთა საქართველოს პედაგოგები, ბედნიერი ვართ, რომ ამ შესანიშნავ შრომით საგმირო საქმეებს შორის, რომლებიც ასე დიდად დაიფასა პარტიამ, არის მასწავლებლის შრომაც, რომელიც მოითხოვს სულიერი ძალების მუდმივ დაძაბვას, ბრძნულ მოთმინებასა და დიდ სიყვარულს ბავშვებისადმი, სიყვარულს ხალხისადმი, სიყვარულს საკუთარი საქმისადმი.

განსაზღვრა რა განათლების მუშაკთა წინაშე დასახული ამოცანები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ჩვენი ამოცანაა ვიბრძოლოთ თვითეული ახალგაზრდისათვის, მისი მოწამსისათვის, ცხოვრებაში მისი აქტიური პოზიციისათვის“.

ვინც უნდა გახდნენ ჩვენი აღზრდილები, ცხოვრების რა გზაც უნდა აირჩიონ. ისინი პირველ რიგში უნდა იყვნენ კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების მქონე ადამიანები. მათთვის მორალური კოდექსი უნდა გახდეს ცხოვრების კანონი.

ადამიანის აღზრდა რთული საქმეა. მოქალაქის აღზრდა კი უფრო რთული. აქ საჭიროა სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ყოველდღიური ბეჯითი შრომა.

ჩვენ, მასწავლებლები მუდამ იდეოლოგიური ბრძოლის მოწინავე ხაზზე და მოზარდი თაობის აღზრდის, სწავლასა და განათლების დარგში პარტიის პოლიტიკის უშუალო განმახორციელებლები ვართ.

თვითეული ჩვენი სიტყვით, ქცევით, ყოველ დღე და ყოველ საათს ჩვენს აღსაზრდელებს ვუნერგავთ პარტიის იდეებს. დროსა და თაობებს რომ ვაკავშირებთ, ამ დროს ვმუშაობთ მომავლისათვის, გვესმის ჩვენი მიზნებისა და ამოცანების სიდიადე, სავსებით შეგნებული გვაქვს პასუხისმგებლობა კომუნისტური საზოგადოების დამამენის, ინტერნაციონალისტი ადამიანის აღზრდისათვის.

სკოლაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ათი ეროვნების ბავშვები სწავლობენ, აქ სწავლა მიმდინარეობს ქართულ და რუსულ ენებზე. მოსწავლეთა კონტინგენტის მრავალეროვნული შემადგენლობა სკოლის პირობებში არის ერთი დაახლოების დიდნიშვნელოვანი ფაქტორი, ბავშვობიდანვე ბუნებრივად ჩამოყალიბებული ინტერნაციონალური ურთიერთობის საფუძველი.

საბჭოთა სკოლას ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის დიდი გამოცდილება აქვს.

თვით ჩვენი სამშობლოს გმირული ისტორია, პარტიის ინტერნაციონალური პოლიტიკა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, საქართველოს ინტერნაციონალური ტრადიციები, დღევანდელი სინამდვილე მდიდარ მასალას გვაძლევენ მოსწავლეთა აღზრდისათვის.

ძვირფასო მეგობრებო!

მხოლოდ ათი თვე გავიდა, რაც საბჭოთა ადამიანებმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი.

არის დღესასწაულები, რომლებიც დავიწყებას მიეცემა ხოლმე. ჩვენი მეგობრობის დღესასწაული კი მარადიულია. იგი გრძელდება ჩვენს საქმეებსა და ჩვენს გულში, ჩვენს ბავშვებსა და მათ სამღერებში, უკრიანულ და ყაზახურ, ქართულ და რუსულ სიმღერებში.

ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემა თვითეული მისი მშრომელის საქმიანობის მაღალი შეფასებაა.

ჩვენი გული ბედნიერებითა და მადლიერებითაა აღსავსე.

აღვუთქვამთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რომ რესპუბლიკის მასწავლებლები ღირსეულად გაამართლებენ პარტიისა და ხალხის ნდობას და ჩვენი სამშობლოს თვითეულ ნორჩ მოქალაქეს ჩაუნერგავენ მშვიდობისა და მეგობრობის ლენინური იდეების სიდიადეს. (ტაში).

საზეიმო კონცერტი

□

საქართველოს სსრ ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით

□

რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის 5 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საადღესასწაულო კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით.

საქართველოს ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება წარმოადგინეს ნიჭიერმა მხატვრულმა კოლექტივებმა და შემსრულებლებმა. დარბაზი გულთბილად შეხვდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლების, საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების სტუდიის მოცეკვავეთა ჯგუფების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტებს — ჩრდილოეთ ოსეთის დასახურებულ არტისტს ა. ლალიევასა და მსახიობ ვ. გალავანოვს, რომლებმაც შეასრულეს საცეკვაო სიუიტა.

დიდებულად და ზეიმურად აღიერდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის კომპოზიტორ რ. ლაღიძის კანტატა „ჰიმნი პარტიას“, რომელიც შეასრულეს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სიმფონიურმა ორკესტრმა (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. კილაძე) და საქართველოს სახელმწიფო კაპელამ (სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ბაქრაძე).

კონცერტის პროგრამაში შეტანილი იყო კლასიკური საოპერო ხელოვნების პოპულარული ნაწარმოებები. რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ც. ტატიშვილმა, ნ. ანდღულაძემ, შ. კიკნაძემ დიდი წარმატებით შეასრულეს ნაწყვეტი ვერდის ოპერა „ტრუბადურიდან“.

საქართველო განთქმულია ნიჭიერი ნორჩი შემსრულებლებით. ამჯერად მაყურებლებს წარუდგა თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლე ე. ცარციძე, რომელმაც შეასრულა შეასრულა კრეისლერის „ვალსი“ და ვენიავსკის „ტარუდი“.

დიდი წიგნის ფურცლებივით მაყურებელთა წინაშე გადაბრიალა კანკადერები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და შრომითს გამარჯვებებს, ხალხისა, რომელიც ახორციელებს ილიჩის ანდერძს, აშენებს კაცობრიობის ნათელ მომავალს — კომუნიზმს.

პოეტმა ოსეებ ნონიშვილმა ჯზნებით წაიკითხა თავისი ახალი ლექსი, რომელიც მიუძღვნა რესპუბლიკის ცხოვრების ნათელ ფურცელს — საქართველოსათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას.

დიდი წარმატება ხვდათ წილად საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მომღერლებსა და მოცეკვავეებს, რომლებმაც შეასრულეს ხალხური სიმღერა „ჩაჩარული“, ცეკვები „ცერული“ და „ფარიკაობა“. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. კავსაძე, მთავარი ქორეოგრაფი — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ხინდილიძე.

დარბაზში არანაკლები წარმატება ხვდა წილად თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სახახლის „ცეკვა პოპულარულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს „მზიურს“.

კვლავ უჩვენა მაყურებლებს თავისი ხალასი ნიჭი საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლ. ჭყონიამ, რომელმაც შეასრულა კრაპივნიკის რომანსი „ბუღბული“.

ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ვოკალისტთა ბევრი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ზ. სოტკილავას, რომელმაც ანსამბლ „რუსთავის“ თანხლებით შეასრულა იტალიური სიმღერა „სკანდალიო“, და ა. ვარლამოვის მიერ დამუშავებული რუსული ხალხური სიმღერა „მეტელიცა“.

კონცერტის დასასრულს აღიერდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „დიდება სამშობლოს“, რომელიც შეასრულეს სიმფონიურმა ორკესტრმა, სახელმწიფო კაპელამ და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სასულე ორკესტრმა. სადირიჟორო პულტთან იდგა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი. ტექსტს კითხულობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. მედვინეთუხუცესი.

საქართველოს ხელოვნების ოსტატთა სადღესასწაულო კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ეს წარმატება დამსახურებულად ვაიზიარა კონცერტის რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ა. ჩხარტიშვილმა. (საქინფორმი).

ეროვნული ტრადიციები

ეროვნული ტრადიციები, ჩვენი საერო...

მოგილოცავ, ჩემო ხალხო,
ახალ ჯილდოს,
ახალ ზეიმს...
მოგილოცავ!...
კვლავ გვენახოს
დროშა შენი უფრო ზევით.

მეგობარო, ეს ორდენი
ჩემიც არის,
შენიც არის...
ჩვენ ვართ მისი შემოქმედი,
ჩვენს შუქმადლად შეიცანი.

ყველასია,
ვისაც ერჩის
მკლავიც,
გულიც
და გონებაც,
ვისაც არ სურს თავის დღეში
შუღლის, მტრობის გაგონებაც.

ვინც შეება საქმეს მართლაც
ვაჟკაცური შემართებით,
ვინც ინატრა ღონე ზვავთა
და ფრთის გაშლა შევარდენის.

კარგად ვიცით:
ეს ორდენი
განა მხოლოდ ორდენია!
შუქი არის ესოდენი,
ჩვენს დროშებს რომ მოსდებია...

კარგად ვიცით ძმობის ფასი,
ძალაც... ათასბალიანი.
ეს ჩვენ გვითქვამს:
მარტო კაცი
ჭამაშიაც ბრალი არის.

ეს ჩვენ გვითქვამს... ჰაი გიდი,
განა მარტო გვითქვამს ძველად!..
თუ დაგვჭირდა, პერანგს ვყიდით,
რომ ვივარგოთ მასპინძელად.

მეგობრობის მადლი გვწამდეს...
მოგილოცავთ ყველას...
ყველას...
და ბრწყინავდეს ციდან ცამდე
სიყვარულის ცისარტყელა,
შვიდნაკეცი ცისარტყელა,
ხალხთა ძმობის ცისარტყელა!

მეგობრობის მადლი გვწამდეს,
მეგობრობის გზებით გვევლოს...
გაგვიმრავლდეს,
გაგვიმძლავრდეს,
გაიხაროს საქართველომ!

წაკითხულია საქართველოს რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმზე 1973 წლის 5 ოქტომბერს.

ამხანაგ ვ. დ. კუპრაძის სიტყვა

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი)

ძვირფასო ამხანაგებო! დაუვიწყარ წუთებს განვიცდით ჩვენ დღეს, როცა ვესწრებთ ახალი კაშკაშა ვარსკვლავის, ხალხთა მეგობრობის ორდენის საზეიმო ამობრწყინებას ჩვენი რესპუბლიკის დროშაზე.

პარტიის ბრძნული გადაწყვეტილება ამ ორდენით ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ერთდროულად დაჯილდოვების შესახებ ღრმა აზრით არის აღსავსე. ეს აქტი არა მარტო ღირსეულად აგვირგვინებს შრომასა და საგმირო საქმეებს, რომლებიც ყაზაბრიობის ისტორიაში პირველად ნამდვილ თანასწორუფლებიან საწყისებზე გაერთიანებულმა საბჭოთა ხალხებმა მოახდინეს ყველაზე ამაღლებული ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალებისათვის, არამედ აგრეთვე ჯანსაღთრებული ძალით მეუთითებს მეგობრობისა და ერთმანეთის მხარდაჭერის როლსა და მნიშვნელობას ჩვენი ხალხების ცხოვრებაში მათი ოქტომბრისშემდგომი ისტორიის მთელ სახელოვან გზაზე.

ვინ იცის, იქნებ ეს მეგობრობა, ეს თავდადებული და უანგარო, გულწრფელი ურთიერთმხარდაჭერის გრძნობა და შეგნებაა, ჩვენი უძველესისა მონაპოვარი, რომელმაც შესაძლო გახადა ჩვენი ხალხების სხვა ბევრი საოცარი მიღწევები, რომლებმაც დიდი ხანია გადაალახინეს ჩვენი ძველი ხალხების მრავალი მოწინავე თაობის ოცნებანი და ყველაზე სანუკვარ ოცნებებს.

მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში ყოფილა ქვეყნებისა და ხალხების სხვადასხვა კავშირები და გაერთიანებანი, მათ შორის ეკრეთ წოდებული „ბურჟუაზიულ ერთა თანამეგობრობანი“, რომელთაგან ზოგიერთი ჩვენს თვალწინ ღალავს სულს. რამდენი პოლიტიკური ცინიზმი, ვერაგობა და თვალთმაქცობა გამოავლინეს მათ მსოფლიოს წინაშე! მეტროპოლიათა-კოლონიის, ერთი ერის ანგარებითი ინტერესებისათვის მეორე ერის უსირცხვილო და ულმობელი ექსპლოატაციის პრინციპებზე დაფუძნებულ ამ „თანამეგობრობებში“ რამდენი დანაშაულებრივი, ძმათამკვლელი ომები და კონფლიქტები გამოუწვევიათ, რა სასტიკ ტირორსა და ძალადობას მიმართავდნენ ქვეყნებში, რომლებიც ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძვიან, დღევანდელი ოსლატრის ტიპის რამდენი სისხლიანი ტრაგედია დაუტეხია თავს ხალხებისათვის იმპერიალიზმს ჩადაუჭრელი ეროვნული, სოციალურ-პოლიტიკური და ეთიკური პრობლემების ნიადაგზე.

ოქტომბრის რევოლუციამ, ლენინის გენიამ მსოფლიოს მოუტანეს ახალი, მანამდე არნახული და ძველ საზოგადოებაში შეუძლებელი ტიპი ხალხთა თანამეგობრობისა, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ჰქვია. სწორედ ეს კავშირი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მისი ხალხების საერთო შრომა და გმირობა გახდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკური აყვავების მძლავრი და უხვი წყარო. სწორედ იგი, ეს კავშირი, რომელსაც საფუძველად უდევს ნამდვილი მეგობრობა და თანასწორუფლებიანობა, კომუნისტური პარტიის ნებით, გახდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავი ნაყოფი, გაიყვანა ჩვენი ხალხები, ყველა-დიდი და პატარა ხალხები დღევანდელი განვითარების ნათელ გზაზე, ისინიც, ვისაც ოდესღაც ჰქონდა თავისი სახელმწიფოებრობა და ამ დროისთვის განვითარებული კულტურა, მაგრამ უკუღმართმა ისტორიულმა ბედმა ფერფლად და ნანარეკალად აქცია, და ისინიც, ვინც მხოლოდ დღეს მიიღო ყველაფერი — ანბანით დაწყებული და ავადმყოფობით დამთავრებული; გაიერთიანა მათი ძალები, აზრები და მისწრაფებანი, აღორძინა საკუთნოვანი ოცნებანი. ავიღო ისინი ახალი ლენინური შინაარსით; საფუძველად დაუდო მათ ცხოვრებას ყველაზე სრულყოფილი პოლიტიკური სისტემა, შთაბეჭდა შრომა, საგმირო საქმენი, შეიარაღა მატერიალური და სულიერი იარაღების თანამედროვე საშუალებებითა და მეთოდებით და ძმური მეგობრობისა და ერთნაწილთის მხარდაჭერის, ერთიანი ოჯახის მშვენიერი ჰარმონიით წარმართა ყველანი პროგრესისა და ბედნიერების საერთო გზით.

ჩაცარი, ძნელი განსაცდელი გამოიარა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა, სანამ დღევანდელი სიდიადის მწვერვალებს მიაღწევდა. ჯერ ისევ გვახსოვს ფაშისტთა ღვარძლიანი წინასწარმეტყველება, რომლებიც გარდაუვალ დაღუპვას უქადდნენ საბჭოთა სახელმწიფოს თითქოსდა იმ მიზეზით, რომ მისი ხალხების კავშირი მტიკეცი და სთიდეო არ იყო. სინამდვილეში კი, სწორედ ყველა საბჭოთა ადამიანის ურყევი და ურღვევი ერთიანობა და ერთი მიზნის ერთგულება აღმოჩნდა ის ძალა ომებს შორის ოდიდესი ომის ფრონტებზე და ზურგში, რომელმაც კისერი მოატეხინა ფაშისტ მხეცს.

ყოველივე ეს განსაკუთრებით მკაფიოდ და თვალნათლივ მოჩანს დღეს ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთად ცხოვრების, ბრძოლისა და გმირობის მწვერვალებიდან, რომლებსაც ყველა საბჭოთა ხალხმა მიაღწია რუსი ხალხის მეთაურობით.

საბჭოთა ხალხების სიყვარულს, პატივისცემას, ერთგულებას და მადლიერებას რუსი ხალხისადმი, გოლათი ხალხებს — რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ხალხებისადმი, რომლებიც მუდამ თვითონ კისრულობენ საბჭოთა ხალხის ყველა გადამწყვეტ საქმეთა ძირითად სიმძიმეს; სიყვარულს, ერთგულებასა და მადლიერებას გაქკაცობისა და მამაცობისათვის, გონებისა და ნიჭისათვის, რუსული გულუხვობისა და დიდსულოვანი რუსული ხასიათისათვის — ჭეშმარიტად არა აქვს საზღვარი საბჭოთა ადამიანების, ყველა ეროვნების წარმომადგენელთა გულსა და შეგნებაში.

დღეს მსოფლიოში დიდმნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. დაბერა დიდი ხნის ნანატრი მტკიცე მშვიდობის თბილმა სიო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და მისი მთავარი მესაჭის ნებით, გონებითა და გამჭრიახობით ნაყოფიერ ნიადაგში ჩაითესა ადამიანთა, ხალხთა, ქვეყნათა და კონტინენტთა მეგობრობისა და ნდობის სათმედო მარცვალი. მაგრამ იმპერიალიზმი განაგრძობს ბრძოლას. ამის მოწმობენ ჩილის ტრაგიკული ამბები, სადაც მოხდა ანტიკონსტიტუციური გადატრიალება, გათელეს დემოკრატიული უფლებანი, მხეცურად არბევენ და დევნიან პატრიოტებს. მოკლეს პრეზიდენტი ალენდე. რა მზაკვრულ ხრკეებსაც ონდა მიმართავენ ხალხთა მშვიდობისა და პროგრესის მტრები, დაეამბულობის შენელების მტრები, გვწამს, რომ შეუქცევადია დაწყებული ცვლილებანი. ამის თავდებია ევროპელი ნების ადამიანთა უოდიგანო ოკეანე მთელ მსოფლიოში. ამის გარანტია კომუნისტური ნებისყოფა, სოციალისტური ბანაკის ძლიერება და ავტორიტეტი. ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველი ხალხი უღიდეს მადლობას უძღვნის ამბანაგ ბრეჟნევს ფასდაუდებელი შრომისათვის, საკმირო საქმეებისათვის სამშობლოს სიკეთილდღეოდ და ასაყვავებლად, ეკონომიკის სიკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

საქართველოს მეცნიერებს დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების საგანძურში; მათ ეკუთვნით საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების არა ერთი თვალსაჩინო მიღწევა; მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი იღონონ, რათა შეასრულონ პარტიის მითითებანი ნების მეცნიერული ეკლესიის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების შესახებ, თავიანთი წვლილი შემატონ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი მკაფიოდ და შთაგონებით წარმოსახავენ საბჭოთა ადამიანების აღმაფრთოვანებელ მიღწევებს, ეხმარებიან პარტიას ახალი მიჯნებისათვის ბრძოლაში ხალხის ძალების დასარაზმად.

ნება მიბოძეთ რესპუბლიკის მთელი ინტელიგენციის სახელით აღვთქვა პარტიას, რომ მთელ ჩვენს ძალონისა და ცოდნას, მთელ ნიჭსა და შემოქმედებითს შთაგონებას ულტიმატუმ მოვახმართ სამშობლოს სამსახურს, მაღლა ვატარებთ ჩვენი საზოგადოების წმიდათაწმიდა დროშას — ხალხთა მეგობრობის დროშას! (ტაში).

ამხანაგ ვ. ვ. კულიკოვას სიტყვა

(თბილისის 153-ე საშუალო სკოლის დირექტორი)

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩვენ აღმფრთოვანებელ წუთებს განვიცდით! ძნელია სიტყვებით იმ სიხარულის გადმოცემა, რომელთაც აღსავსეა ჩვენი გული, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის გული რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემის დღეს. ეს მთავრობის მეოთხე მაღალი ჯილდოა, რომელიც დაგიმსახურეთ ქართველი და რუსპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის თავდადებული შრომით.

ბევრი ჯილდო აქვს ჩვენს სამშობლოს. ისინი ამშვენებენ მოკ